# ახალი განათლება

06.07.2018

№24 (818) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


## გაზეთი გამოსვლას სექტემბრიდან განაახლებს



## ყველაზე კარგი ფსიქოლოგები ბავშვები არიან

გვ. 4

## პედაგოგთა დასახმარებლად

„ახალი განათლება“ წარმოგიდგენთ კრებულებს პედაგოგთა დასახმარებლად – „სამოდელო გაკვეთილი“ და „ტესტები მათემატიკაში“




ფასი – 12 ლარი




ფასი – 10 ლარი

დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 555 411 668, 593 300 264

გვ. 8

პროფესია პედაგოგი

## მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება მნიშვნელოვანია

გვ. 9

სკოლამდელი განათლება

## გამოწვევები, რომლებიც კანონის და ახალი სახელმწიფო სტანდარტების განხორციელებას აფერხებს

## პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

Կարևոր հարցեր պատասխաններով

გვერდი 6

# გამომცემლობა „მერიდიანის“ მიერ მომზადებულმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა წარმატებით გაიარა გრიფირების კონკურსი შემდეგ საგნებში:

⇨ ***ქართული ენა და ლიტერატურა პირველი–მეოთხე კლასები;***
⇨ ***სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება პირველი–მეექვსე კლასები.***

წიგნები გადამუშავდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შეივსო და გადახალისდა საკითხავი მასალა, განახლდა მეთოდიკური აპარატი; მასწავლებელი აქ ნახავს მისთვის საინტერესო ბევრ სიახლეს შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების, გამჭოლი კომპეტენციების, პროექტ-გაკვეთილების სახით. მასწავლებლის წიგნში ასევე მოცემულია დავალებები განსხვავებული შესაძლებლობის მოსწავლეთათვის, ისტ-ისა და მდგრადი განვითარების გამოყენების ნიმუშები სხვადასხვა ტიპის საკითხავი მასალის დამუშავებისას.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ საანბანო წიგნს, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შეეცვალა სახელწოდება და ამჟამად ის წარმოდგენილია არა ***„დედაენის“***, არამედ ***„ქართული ანბანისა და საკითხავი წიგნის“*** სახელწოდებით; თუმცა ჩვენ კვლავაც მივყვებით ქართული ანბანის სწავლების ი. გოგებაშვილისეულ პრინციპებს. ამ წიგნის ერთგვარი სიახლეა ისიც, რომ მასში ჩართულია საკითხავი მასალა საანბანო პერიოდისათვის, რაც, ჩვენი აზრით, დაეხმარება მოსწავლეს კითხვის ჩვევების გამომუშავებაში.

ქართული ენა და ლიტერატურა



## მოსწავლის წიგნები

(ავტორ-შემდგენლები – ნათელა მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი):
ა) I კლასი – ქართული ანბანი და საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის (I-II ნაწილი);
ბ) II კლასი – ქართული ენა და ლიტერატურა (I-II ნაწილი);
გ) III კლასი – ქართული ენა და ლიტერატურა (I-II ნაწილი);
დ) IV კლასი – ქართული ენა და ლიტერატურა (I-II ნაწილი).

## მოსწავლის რვეულები

(შემდგენელი ნათელა მაღლაკელიძე):
ა) I კლასი – კალიგრაფიული რვეული;
ბ) II კლასი – ქართული ენა და ლიტერატურა (I-II ნაწილი);
გ) III კლასი – ქართული ენა და ლიტერატურა (I-II ნაწილი);
დ) IV კლასი – ქართული ენა და ლიტერატურა (I-II ნაწილი).

## მასწავლებლის წიგნები

(ავტორები – ნათელა მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე, ირინა ნადირაშვილი, სოფო მეხაშიშვილი):
ა) დედაენის გაკვეთილები პირველ კლასში;
ბ) ქართული ენა და ლიტერატურა მეორე კლასში;
გ) ქართული ენა და ლიტერატურა მესამე კლასში;
დ) ქართული ენა და ლიტერატურა მეოთხე კლასში.

გამომცემლობა „მერიდიანი“ გთავაზობთ მაღალრეიტინგული, ამჯერად სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსში უმაღლესი შეფასების მქონე სასწავლო-მეთოდურ მასალებს ხელოვნების სწავლებისათვის დაწყებით საფეხურზე, რომლებიც მნიშვნელოვანი სიახლეებით ხასიათდება.

ახალი სახელმძღვანელოებით სწავლება მოსწავლეებს არა მხოლოდ აზიარებს ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების საგანძურს, არამედ განუვითარებს თვითგამოხატვის სხვადასხვა ხერხისა და საშუალების ფლობის, უმნიშვნელოვანეს კოგნიტურ, სოციალურ და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს.

ახალი სასწავლო-მეთოდური კომპლექტის საფუძველს წარმოადგენს კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები და მასზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების პროცესი, გამოირჩევა შემდეგი მნიშვნელოვანი თავისებურებებით:

⇨ სახელმძღვანელოების შინაარსი მოსწავლეთათვის ნაცნობი და საინტერესოა, ორიენტირებულია მათი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და წინარე ცოდნის გააქტიურებაზე;

⇨ მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესში, თითოეულ გაკვეთილზე ჩართულია მრავალმხრივ აქტივობებში – დაკვირვების, შედარების, მსჯელობის, ანალიზის გზით აკეთებს დასკვნებს და შესაბამისად, თავად მონაწილეობს ახალი ცოდნისა და გამოცდილების აგებაში;

⇨ პრაქტიკული საქმიანობისას უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება (იდეა, სამუშაო მასალა, ტექნიკა, გამომსახველობითი ხერხები და სხვ.). ამ თვალსაზრისით შეთავაზებულია ისეთი სტრატეგიები და აქტივობები, რომლებიც გამოხატვის მრავალფეროვანი გზების, საშუალებებისა და მიდგომების ძიებაზე, ექსპერიმენტებსა და აღმოჩენებზეა დაფუძნებული;

⇨ სიახლეს წარმოადგენს მასწავლებლის წიგნის განსხვავებულად სტრუქტურირება და შინაარსი. წიგნი მოიცავს ყველა ასპექტს (ასაკობრივი თავისებურებები, სწავლების ძირითადი მეთოდები და სტრატეგიები, ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, დამატებითი ინფორმაციები, შეფასების სტრატეგიები და ინსტრუმენტები, გაკვეთილების სცენარები, შემაჯამებელი გაკვეთილების ნიმუშები და სხვ.), რაც მნიშვნელოვანია ახალი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

სასწავლო-მეთოდური კომპლექტები მოიცავს:



III-VI კლასებში: მოსწავლის სახელმძღვანელოს, მასწავლებლის წიგნს, მოსწავლის სამუშაო რვეულს.

## ხელოვნება

ავტორები: ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე, ნათელა ჯაბუა



I-II კლასებში:
მასწავლებლის წიგნს,
ელექტრონულ რესურსს,
მოსწავლის სამუშაო რვეულს.

გარდა ამისა, გამომცემლობა სთავაზობს მასწავლებლებს თვალსაჩინო, აგრეთვე მეთოდურ მასალას, რომლებიც საჭიროდ გადაეცემათ მასწავლებლებს, თემატური სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას მათ მიერ მოწოდებულ საკითხავთან დაკავშირებით.

# „დიოგენეს“ ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები

**პატივცემულო პედაგოგებო!**
**გამომცემლობა „დიოგენე“ გთავაზობთ იმ სახელმძღვანელოების ჩამონათვალსა და მოკლე აღწერილობას, რომლებიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მომზადდა.**

## დედაენა

**ნესტან კუპრავა**
**დოდო ნაზირიშვილი**
**მზია ფოფხაძე**
**მაია ხაზიური**



**მოსწავლის წიგნი (ორ ნაწილად) + მასწავლებლის წიგნი + მოსწავლის რვეული**

სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა კითხვის სწავლების უნიკალური მეთოდი, რომელიც „ფერადი მარცვლების“ სახელითაა ცნობილი. ამ მეთოდის დახმარებით მოსწავლეები მარტივად და სწორად ახერხებენ მარცვლების სიტყვებად გაერთიანებას და სწრაფად ეუფლებიან კითხვას. სახელმძღვანელოში ტექსტები თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანია და ითვალისწინებს პირველკლასელთა ასაკობრივ თავისებურებებს. წიგნი გაფორმებულია პლასტილინისაგან გამოძერწილი ფიგურების სამგანზომილებიანი ილუსტრაციებით. გაფორმების ეს ორიგინალური ხერხი დადებით ემოციურ ეფექტს ახდენს ბავშვებზე და მათში „მსგავსის შექმნის“ სურვილს აღვიძებს.

სამუშაო რვეულისთვის შერჩეული მრავალფეროვანი სავარჯიშოები მოსწავლეეებს განუვითარებს წერისა და კითხვის უნარებს, მასწავლებლის წიგნი კი დიდ დახმარებას გაუწევს პედაგოგებს. მასში დაწვრილებით არის განხილული ყოველი გაკვეთილი, მოცემულია ზუსტი ინსტრუქციები თითოეული სავარჯიშოს შესასრულებლად.

## ქართული 2-4

**ნესტან კუპრავა**
**მზია ფოფხაძე**
**მაია ხაზიური**
**ნანა გომარელი**
**ზაქარია ქიტიაშვილი**



**მოსწავლის წიგნები (ორ ნაწილად) + მასწავლებლის წიგნები + მოსწავლის რვეულები**

ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების მთავარი მახასიათებლებია უმცროსკლასელ მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებზე გათვლილი, ჟანრობრივად მრავალფეროვანი და საინტერესო ტექსტები, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული, ორიგინალური და მიმზიდველი ილუსტრაციები, მოსწავლის აზროვნების მიმართვაზე ორიენტირებული ღია თუ დახურული, გაგება-გააზრების მასტიმულირებელი შემაჯამებელი-სადისკუსიო შეკითხვები, მრავალფეროვანი სავარჯიშოები მოსწავლის სახელმძღვანელოსა თუ რვეულში, სასწავლო მასალის თემისა და შინაარსის ავთენტურობა, მდგრადი განვითარების პრიორიტეტების ბავშვებისთვის მისაწვდომად ასახვა.

კომპლექტში შემავალი მასწავლებლის წიგნები პედაგოგებისთვის ეფექტური გზამკვლევებია. მათში განხილული გაკვეთილები, თანამედროვე, ეფექტური მეთოდები და სტრატეგიები მასწავლებლებს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში.

## ქართული 5-6

**ლია თუშური**
**ნინო შარაშენიძე**





**ლიტერატურის სახელმძღვანელოები (ორ ნაწილად) + ენის სახელმძღვანელოები + მასწავლებლის წიგნები + ქართული ენის რვეულები**

სახელმძღვანელოების მთავარი ღირსებაა გემოვნებით შერჩეული ლიტერატურული მასალა და მისი დამუშავების უაღრესად საინტერესო, მრავალფეროვანი, გონებამახვილური, კრეატიული, ინოვაციური მეთოდები, რომლებიც ძირითადად ინტერაქტიული სწავლების პრინციპებს ეყრდნობა. მასალა და მისი მიწოდების ხერხები ორიენტირებულია არა მარტო უშუალოდ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებების (როგორც ქართული, ისე თარგმნილი) გაცნობასა და ლიტერატურის თეორიის საკითხების შესწავლაზე, არამედ მოსწავლის თავისუფალი აზროვნების, ფანტაზიის, ინტერესთა სფეროს გაფართოებაზე, გარემოსთან და თანატოლებთან ადაპტაციაზე, საკუთარი და გარშემო მყოფთა ღირსების შეფასების უნარისა და ფასეულობათა შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბებაზე.

## მათემატიკა I-4

**სალომე ჩხეიძე**
**ნინო გვილავა**
**ეკა ჩილოჩავა**



**მოსწავლის წიგნები (ორ ნაწილად) + მასწავლებლის წიგნები + მოსწავლის რვეულები (1-2 კლ.)**

ავტორთა მრავალწლიანმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ და კვალიფიცირებულ კონსულტანტთა რჩევებმა განაპირობა თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელოების შექმნა, რომლებშიც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი კოგნიტური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი და ინტერესები, კავშირი მათ ყოველდღიურობასთან.

წიგნების ორიგინალური და მიზნობრივი მხატვრული გაფორმება სწავლა-სწავლების პროცესს ბავშვებისთვის საინტერესო და სახალისო საქმიანობად აქცევს. კომპლექტში შემავალი მასწავლებლის წიგნები მნიშვნელოვან მეთოდურ დახმარებას გაუწევს პედაგოგებს. მათში დეტალურადაა განხილული ყოველი გაკვეთილი, მოცემულია ზუსტი ინსტრუქციები შერჩეული სავარჯიშოების შესასრულებლად.

## ბუნება 1-4

**ქეთევან მაღრაძე**
**ლელა მეტრეველი**
**ქეთევან ტატიშვილი**
**ნინო ქემოკლიძე**



**მოსწავლის წიგნები (ორ ნაწილად, გარდა 1-ლი კლასისა) + მასწავლებლის წიგნები + მოსწავლის რვეულები (1-2 კლ.)**

ბუნების სახელმძღვანელოთა სერია, რომელიც განკუთვნილია I-IV კლასებისათვის, აგებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი და დამტკიცებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წლიური პროგრამების შესაბამისად.

სახელმძღვანელოთა ძლიერი მხარეა შესასწავლი საკითხების ამომწურავად და ამავე დროს მარტივი ენით გადმოცემა, ტექსტების კავშირი ყოველდღიურობასთან, ილუსტრაციების მიზნობრივი გამოყენება, საკლასო სამუშაოთა და საშინაო დავალებების, აგრეთვე შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნება, ოთხივე კლასის სახელმძღვანელოს კონცეპტუალური ერთიანობა, კეთებით სწავლების დომინანტურობა.

## ბუნება 5-6

**ლელა მეტრეველი**
**ქეთევან მაღრაძე**
**მარინე ბაგალიშვილი**
**ქეთევან ტატიშვილი**
**ნინო ქემოკლიძე**
**ეკატერინე ბოკუჩავა**



**მოსწავლის წიგნები + მასწავლებლის წიგნები**

სახელმძღვანელოები აგებულია სწავლა-სწავლების სამფაზიანი მოდელის მიხედვით, პრინციპით „მარტივიდან რთულისაკენ“, გამოირჩევა კითხვებისა და სავარჯიშოების, ასევე თემების შემაჯამებელი სამუშაოების მრავალფეროვნებით. მათი ძლიერი მხარეა თვალსაჩინო საგანთაშორისი კავშირები. ამ სახელმძღვანელოებით სწავლისას მოსწავლეს დასჭირდება მათემატიკის, ისტ-ის, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხების გამოყენება, განუვითარდება კვლევისა და დასკვნების გამოტანის, თანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარები. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელო დაწერილია მარტივი, გასაგები ენით, ეს კი მოსწავლეს გაუადვილებს შესასწავლი საკითხების გააზრებას. მოსწავლე ნათლად გააცნობიერებს საბუნებისმეტყველო ცოდნის როლს ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში.

## ხელოვნება 1-4

**ნანა კუნჭულია**
**ნინო მიქაბერიძე**
**მაია მეხაშიშვილი**
**ნინო ციციშვილი**



**მოსწავლის წიგნები (3-4 კლ.) + მასწავლებლის წიგნები + ელექტრონული რესურსები**

ამ სახელმძღვანელოების ძლიერი მხარეებია კრეატიული მიდგომა სასწავლო პროცესისადმი, ასევე შინაარსობრივი გამართულობა და მეთოდური ინოვაციების სიუხვე. წიგნებში დაცულია ტექსტების, ილუსტრაციებისა და სავარჯიშო-დავალებების ოპტიმალური თანაფარდობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის შეძენას და სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

## ხელოვნება 5-6

**ნანა კუნჭულია**
**მაია მეხაშიშვილი**
**ნანა მიქაბერიძე**



**მოსწავლის წიგნები + მასწავლებლის წიგნები**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგთა აუდიტორია კარგად იცნობს ამ სერიის ავტორთა საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებს. წარმოდგენილი კომპლექტები, მათი წინამორბედების მსგავსად, მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევა. მათი ძლიერი მხარეა შინაარსის თემატურ-ჟანრობრივი მრავალფეროვნება, სწავლების ინოვაციური მეთოდები, რაც მოზარდი თაობის ესთეტიკური ღირებულებების ჩამოყალიბებასა და ინტერესების სფეროს გაფართოებას ემსახურება.შესასაწავლი საკითხების ავთენტურობა, მისაწვდომობა, საინტერესო ტექსტური მასალა და სავარჯიშოები ორიენტირებულია სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე.

## რუსული 5-6

**მაია რევია**



**მოსწავლის წიგნი + მასწავლებლის წიგნი + მოსწავლის სამუშაო რვეული + აუდიომასალა**

სახელმძღვანელოების ეს სერია მასწავლებლებისათვის კარგად ნაცნობი ავტორის ახალი, წარმატებული პროექტია. სახელმძღვანელოების კომპლექტის ძლიერი მხარეა აკადემიურობა, შინაარსობრივი და მეთოდური გამართულობა, დახვეწილი დიზაინი, შესაბამისი აუდიომასალა, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც დასახული მიზნების მიღწევაში, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის წიგნები და მრავალფეროვანი დავალებებით დატვირთული სამუშაო რვეულები.

გამომცემლობა „დიოგენე”
0171 თბილისი, აფაქიძის 9
ტელ.: (+995 32) 2213321
email: adm@diogene.ge
http://www.diogene.ge
მოგვძებნეთ ფეისბუქგვერდზე
გამომცემლობა დიოგენე diogene publishers



# ყველაზე კარგი ფსიქოლოგები ბავშვები არიან

**გვესაუბრებიან მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს კოორდინატორი ზაზა ხუციშვილი და ამავე სამმართველოს მანდატური ხათუნა ხუბეჟოვი**



**ზაზა ხუციშვილი:** მე და ხათუნა მანდატურის სამსახურში დაარსების დღიდან ვართ და ყველა საფეხური გავიარეთ. მანდატურის სამსახური რეგიონების მიხედვითაა დაყოფილი, თბილისი ორად იყოფა, შესაბამისად, ორი კოორდინატორი ჰყავს, თითოეულს კი – მიკროკოორდინატორები, რომელთა დაქვემდებარებაში 10-12 სკოლაა. მართვა ასე ხდება: მანდატური უკავშირდება უშუალო კოორდინატორს, მასთან გადის კონსულტაციას და იღებს მითითებებს. თუ გადაწყვეტილება უფრო მაღალ დონეზეა მისაღები, მოდის კოორდინატორთან და ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებას.

ასევე ხდება კოორდინაცია ჩვენს ფსიქოლოგიურ ცენტრთან, სამართალდამცავ ორგანოებთან, სოციალური დაცვის სააგენტოსთან. მუდმივად მიმდინარეობს სტატისტიკური მონაცემების შეგროვება სკოლებიდან. ყოველი თვის და კვარტლის ბოლოს მიღებულ ინფორმაციას ვაანალიზებთ და ვადგენთ ერთგვარ სურათს – რა ხდება სკოლაში, რა დარღვევები წამოვიდა წინ, კლებაა თუ მატება, რატომ ხდება ეს პროცესი და ამის საფუძველზე შედგენილ რეკომენდაციებს ვუგზავნით სკოლებს – რა არის გამოსასწორებელი, რაში შეგვიძლია დავუდგეთ გვერდში, რა შეუძლიათ მათ თავად გააკეთონ, რასთან დაკავშირებით შეიძლება ვითანამშრომლოთ არასრულწლოვანთა განყოფილებასთან, განათლების სამინისტროსთან და ა.შ.

### როგორ შეაფასებთ 2017-2018 სასწავლო წელს

შეიძლება ითქვას, რომ სტაბილური მდგომარეობაა, მაგრამ ბევრი საკითხია, რომელიც ყურადღებას საჭიროებს. მოგეხსენებათ, სკოლა ცოცხალი ორგანზმია და სულ ერთნაირი მდგომარეობა ვერ გვექნება. ჩვენ შეგვიძლია ვმართოთ სიტუაცია, მაგრამ რაღაცის რადიკალურად შეცვლა ძალიან რთულია, მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაშია შესაძლებელი. ბავშვები ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადადიან და შესაბამისი ასაკობრივი თავისებურებები იჩენს თავს, ისინი გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს წარმოადგენენ, რაც მათ ურთიერთობაზე აისახება, საბოლოოდ, ყველა ეს პრობლემა თავს იყრის სკოლაში და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, გვიწევს ამ გამოწვევებთან მუშაობა, რომ ვითარება იყოს მართვადი ან ექვემდებარებოდეს გამოსწორებას.

უშუალოდ სასწავლო პროცესში არ ვერევით, ასე ვთქვათ, გარედან ვიცავთ სასწავლო პროცესს. თავიდან, როცა ჩვენი სამსახური შეიქმნა, ძირითადი ამოცანა სკოლებიდან დანაშაულის განდევნა იყო. იმ დროს ეს მართლაც სერიოზული პრობლემა იყო, სკოლაში ყველა სახის დანაშაულს ჰქონდა ადგილი. მანდატურის სამსახურმა ეს პირველადი ამოცანა უმაღლეს დონეზე შეასრულა – დანაშაული განიდევნა სკოლებიდან.

### მაინც რა ტიპის დანაშაულთან გქონდათ საქმე?

იყო აკრძალული ნივთები, ყველა სახის ძალადობა, ბულინგი (ეს გამოწვევა ახლაც არის და მუდმივად იქნება, სამწუხაროდ, ამის დაძლევა მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული), თამბაქოს მოხმარება, ფაქტობრივად, სკოლებში უმართავი სიტუაცია იყო. ამ საკითხების დარეგულირება მანდატურის სამსახურმა შეძლო, მაგრამ ნებისმიერ სამსახურს სჭირდება განვითარება და გარკვეული პერიოდის შემდეგ მანდატურის სამსახურმაც ცვლილება განიცადა. დადგა მისი განვითარების საკითხი.

ჩვენ ვაფიქსირებთ დარღვევას და გადავცემთ დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. სახდელის დადებაში და იმ ღონისძიებებში, რაც მერე ტარდება, არ ვერევით, ეს მთლიანად დირექტორის პრეროგატივაა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლის ნებისმიერ ქმედებას, ნებისმიერ ქცევას თავისი ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. ამიტომ შეიქმნა ჩვენი სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, სადაც მშობელთან შეთანხმებით ვამისამართებთ ბავშვებს. მანდატურებიც გადიან ფსიქოლოგიურ გადამზადებას და იძენენ სათანადო უნარ-ჩვევებს, რომ შეძლონ პირველადი ქცევითი დარღვევების ამოცნობა. საჭიროების შემთხვევაში, ვთხოვთ დირექციას, დაიბაროს მშობელი, ვესაუბრებით და ვარწმუნებთ, რომ მანდატური ხედავს ჩანასახში ან სხვადასხვა დოზით გარკვეულ დარღვევას და რომ არ მოხდეს ამ პრობლემის გამწვავება (მერე, უკვე დიდ ასაკში, დიდ პრობლემად იქცევა და უფრო მეტად მოხდება გაუცხოება მშობელსა და ბავშვს შორის), ვურჩევთ ფსიქოლოგის მომსახურებას. მომსახურება უფასოა, გადამისამართება ხდება ელექტრონულად, შემდეგ ფსიქოლოგი უკავშირდება მშობელს და უთანხმებს ვიზიტს. ასევე ვთანამშრომლობთ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

როცა მანდატური მშვიდი სახით სკოლის დერეფანში მოძრაობს, ეს არ ნიშნავს, რომ ირგვლივ არაფერი არ ხდება. ამ დროს კოორდინატორიც ხაზზეა, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორაციის გაცვლა. ჩვენი სამსახურის მთავარი მისია ბავშვის ინტერესების დაცვაა, ამით ყველაფერია ნათქვამი. აქედან ამოვდივართ ყველა მიმართულებით, ყველა ქმედება ამასთანაა დაკავშირებული. ვახორციელებთ მიზნებს, რომლებიც ამ მისიიდან გამომდინარე დგება. ვთანამშრომლობთ განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროების სხვადასხვა დანაყოფებთან, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ბავშვი იყოს უსაფრთხოდ. სკოლას ვიცავთ ყოველგვარი – პირდაპირი თუ ირიბი – ზემოქმედების ფაქტორებისგან, იქ ისეთი გარემო უნდა იყოს, სადაც ბავშვი უსაფრთხოდ იგრძნობს თავს. როცა მშობელი მისთვის ყველაზე ძვირფასს – შვილს გვაბარებს, ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას როგორც მის ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე და, დღის ბოლოს, ბავშვი ისევე უნდა ჩავაბაროთ მშობელს, როგორც მივიღეთ. ეს არის ჩვენი ძირითადი სამუშო – ბავშვის კარგად ყოფნა.

### უკვე ცხრა წელია, რაც მანდატურის სამსახური შევიდა სკოლებში, როგორია სტატისტიკური მონაცემები, რა მოგვარდა და რა რჩება ისევ პრობლემად?

წლიდან წლამდე სურათი, მეტ-ნაკლებად, იცვლება. ძირითადად, სკოლებში, როგორც უკვე აღვნიშნე, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები ფიქსირდება, აქტუალურია ბულინგი, ხშირად ხდება ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენა. ჩვენ პროცედურულად გვაქვს გაწერილი, როგორ ვიქცევით ნებისმიერ შემთხვევაში – რას ვაკეთებთ, ვის მივმართავთ, ვინ უნდა ჩავრთოთ. ხშირად სკოლები თავისი შეხედულებისამებრ აგვარებდნენ გარკვეულ საკითხებს, ფაქტობრივად, სახელმწიფო ინსტიტუტები იგნორირებული იყო. მანდატურის სამსახური ამ საკითხებს იმგვარად არეგულირებს, რომ ვისაც რამე ესაქმება სკოლაში და ევალება კანონითა და კონსტიტუციით, ყველას მობილიზებას ახდენს. ჩვენ მივმართავთ და ვეუბნებით, ეს თქვენი საქმეა, მობრძანდით და დაკავდით ამ პრობლემის მოგვარებით. ერთგვარი მარეგულირებელი ორგანო ვართ, ინიციატივა ჩვენგან მოდის – თუ გადაუდებელი შემთხვევა არ არის, ადგილობრივ განყოფილებასთან ვთანამშრომლობთ, თუ გადაუდებელია (მაგალითად, ნარკოტიკის აღმოჩენის შემთხვევაში) – საპატრულო პოლიციასთან. დირექცია ვალდებულია, ჩვენი დარღვევის აღრიცხვის ფურცლის საფუძველზე, მომხდარ ფაქტზე (მას შეტყობინება ოქმის სახით მისდის) სათანადო რეაგირება მოახდინოს. ყველა სკოლაშია შექმნილი სამოქალაქო თავდაცვის კომპლექტები, ევაკუაციის შემთხვევებიც გვქონია, მაგალითად, ხანძრის საფრთხე თუ არის, სასწრაფოდ უნდა მოხდეს ბავშვების ევაკუაცია. ამ ყველაფერში მანდატურის სამსახური ძალიან აქტიურადაა ჩართული.

რაც შეეხება სტატისტიკას, ვიტყოდი, რომ სტაბილურად ვინარჩუნებთ სიტუაციას, არ ვაძლევთ გამწვავების საშუალებას. როგორც მოგახსენეთ, უწყვეტად მიმდინარეობს მონაცემთა შეგროვება და როცა ვხედავთ, რომ რაღაც ტიპის დანაშაულმა უფრო მეტად იჩინა თავი, ინტერნეტთამაშები იქნება თუ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები, დეტალურად ვაანალიზებთ – რომელ ასაკობრივ ჯგუფში ხდება, სად ხდება – საკლასო ოთახში, გაკვეთილის დროს თუ სკოლის გარეთ და სხვ. დეტალური ანალიზი იმისათვისაა საჭირო, რომ ყველა შეკითხვაზე გვქონდეს პასუხი, როდესაც დირექტორს მივმართავთ. რეკომენდაციებს წერილობით ვუგზავნით, რა არის გამოსასწორებელი, ვასაბუთებთ ციფრებით. ამგვარად, დირექტორს, წლის დასაწყისში და წლის ბოლოს, სრული სურათი აქვს, რა ხდება მის სკოლაში. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თვითონ მათ არანაირი გათვლები არ აქვთ, მაგრამ ჩვენგან მიღებული, უფრო პროფესიული თვალით დანახული, კონკრეტული სიგნალი მათთვის საინტერესო და სასარგებლოა.

### საინტერესოა კონკრეტული სკოლის მაგალითზე ვნახოთ, რა ვითარებაა. ხათუნა, თქვენ საკმაოდ დიდ სკოლაში მუშაობთ, ბევრი მოსწავლეა და ალბათ პრობლემებიც უფრო მრავალფეროვანია.

**ხათუნა ხუბეჟოვი:** ოცდაექვს სკოლაში ვარ ნამუშევარი, ბოლო სამი წელია თბილისის კლასიკური გიმნაზიის მანდატური ვარ. პრობლემა სკოლაში ყოველთვის იყო და იქნება იმიტომ, რომ, როგორც ზაზამ აღნიშნა, ცოცხალი ორგანიზმია, ბავშვებთან გვაქვს საქმე. ამიტომ ვყავართ ამდენი უფროსი და დამცველი, რომ მათ სჭირდებათ ჩვენი დახმარება – მასწავლებლის, მანდატურის, დირექტორის და, რაც მთავარია, მშობლის. ძირითადი პრობლემა ერთმანეთის ფიზიკური შეურაცხყოფაა, რადგან ისინი არ თვლიან, რომ ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებენ, ყველაფერი თამაშით იწყება, ძალიან უმტკივნეულოდ და მერე გადადიან უკვე ერთმანეთის დაშავებაზე. მათ სჭირდებათ ახსნა, რომ ეს თამაში უფრო მეტში არ უნდა გადაიზარდოს. მოგვყავს მშობელი, ვესაუბრებით



და ვითარებაც რეგულირდება. ჩვენი რეაგირება მხოლოდ ოქმის დაწერით, რომ, მაგალითად, ორმა ბავშვმა იჩხუბა, არ შემოიფარგლება. ვაკვირდებით, ხომ არ გაგრძელდა მათ შორის კონფლიქტი, კლასელებიც ხომ არ ჩაერთნენ, პროცესმა სკოლის გარეთ ხომ არ გადაინაცვლა. ვურეკავთ მშობელს, ვრთავთ დამრიგებელს, დირექციას და სანამ არ დავრწმუნდებით, რომ კონკრეტულ ბავშვებს შორის კონფლიქტი ამოწურულია, არ ვეშვებით. თუ წინა პლანზე ბავშვის გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემა წამოვა, ამ შემთხვევაში, ყველაზე კარგია მშობელთან კონტაქტი, რადგან ბავშვის აგრესიის მიზეზი შეიძლება სახლში წარმოიქმნა.

ზაფხულის პერიოდშიც კი რეკავენ ჩემთან მშობლები, დღესაც შევავსე ფსიქოლოგთან ვიზიტის ე.წ. რეფერალი. ბოლო დროს, მშობლების მხრიდან დიდი ნდობა წამოვიდა და ეს ძალიან მიხარია, როცა პროცესში მშობელია ჩართული, ადვილად აღწევ შედეგს. თუმცა, ისეთი მშობლებიც არიან, სამწუხაროდ, რომლებიც საერთოდ ვერ აღიქვამენ, რომ შვილს პრობლემა აქვს და ჩვენც გვიჭირს შედეგზე გასვლა. თუ მშობელი არ გეხმარება, სკოლაში კი დაარეგულირებ პროცესს, ჩაწერ ბავშვს ფსიქოლოგთან, მაგრამ იქ ხომ მშობელმა უნდა მიიყვანოს. თუმცა, მშობლის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც არ ვჩერდებით, საქმეში სოციალური სააგენტო ერევა და თუ პრობლემა მართლაც რეალურია, სოციალური სააგენტოს ჩარევით ვაიძულებთ, მიხედოს ბავშვს. როცა ფსიქოლოგის ჩარევა აუცილებელია, უნდა ჩაერიოს, და არა აქვს მნიშვნელობა ამას საკუთარი ძალებით შევძლებთ თუ სოციალური სააგენტოს დახმარებით, მთავარია სასურველი შედეგი მივიღოთ.

სკოლებში დარღვევები უფრო სიცელქეზეა აწყობილი, ხშირია გაკვეთილის ჩაშლის მცდელობები. ამაზეც დგება ოქმი მანდატურის მხრიდან. ზოგიერთი ბავშვი იმდენად ხშირად აკეთებს ამას, რომ გვიწევს მშობლის მოყვანა და კითხვა, რატომ ვერ ჩერდება კონკრეტული მოსწავლე გაკვეთილზე. მოსწავლე შეიძლება ერთხელ იყოს ცელქობის ხასიათზე, მაგრამ მთელი კვირა ან მთელი თვე უკვე რაღაცის მანიშნებელია. ერთი საინტერესო შემთხვევა გვქონდა. მეექვსეკლასელი მოსწავლე არ ჩერდებოდა გაკვეთილებზე, წამოხტებოდა და გარბოდა. მასწავლებლები ბავშვურ სიცელქეში უთვლიდნენ. მშობელი რომ დავიბარეთ, აღმოჩნდა, რომ ბავშვს ძალიან დიდი პრობლემა ჰქონდა, აჩრდილებს ხედავდა, ასევე, აღმოჩნდა, რომ რაღაც ოჯახური პრობლემაც ჰქონდათ. ძალიან სერიოზული შემთხვევა იყო და სასწრაფოდ გადავამისამართეთ ფსიქოლოგიურ ცენტრში. მშობელი დღემდე რეკავს ჩემთან და მადლობას გვიხდის, ბავშვი უკვე კარგად არის. სექტემბრიდან ველოდებით, რომ ჩვეულებრივად ჩაერთვება სასწავლო პროცესში. მთავარია შედგეს კომუნიკაცია მშობელს, მასწავლებელს, დირექციასა და მანდატურს შორის. მარტო მანდატური ვერაფერს გახდება იმიტომ, რომ სკოლაში ძალადობა ქუჩიდან ან სახლიდან მოდის. სამწუხაროდ, ძალადობაა ოჯახებში, ქუჩაში, უბანში, ეზოში და საბოლოოდ ყველაფერი სკოლაში იყრის თავს?! სკოლებში, ხშირად, სხვადასხვა უბნის ბავშვები არიან თავმოყრილი და განსხვავებული შეხედულებები აქვთ, ამიტომაც ხდება კონფლიქტები. მართლა ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ მარტო მანდატურის სამსახური ვერაფერს გააწყობს, მიხარია, რომ ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურებულები არიან მშობლები, მოდიან კითხვებით როგორ მოიქცნენ ამა თუ იმ ვითარებაში, გვთხოვენ დახმარებას. ზოგჯერ უხერხულადაც კი ვგრძნობ ხოლმე თავს, ჩემზე გაცილებით უფროსი ადამიანები როცა მთხოვენ დახმარებას.

დამრიგებლებიც ძალიან გვიწყობენ ხელს. ჩვენც ხშირად ვახსენებთ, რომ დარეკონ მშობლებთან, სამწუხაროდ, სჭირდებათ ამის შეხსენება. ყველა მშობელმა უნდა იცოდეს რას აკეთებს მისი შვილი სკოლაში და თუ რამე პრობლემას წააწყდება, პირველ რიგში, დედამ და მამამ უნდა გაიგონ.

### მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები, რაიმე პრობლემის შემთხვევაში, არ მიმართავენ არც მანდატურს და არც მასწავლებელს, რატომ ხდება ასე?

ვითარება ასეთია, სკოლაში რომ შეხვალ, ერთ თვეში უკვე ყველას იცნობ. ყველა ბავშვი იცი, როგორ ხასიათზე მოდის. შეიძლება ბავშვმა თვითონ არ მოგმართოს (თუმცა ბევრი მოდის კიდეც), მაგრამ შენ თუ ამჩნევ, რომ ხასიათზე არ არის, რაღაც პრობლემა აქვს, ეკითხები კლასელს, იწყებ მოქმედებას. სანამ არ გამოვიძიებთ მიზეზს, რატომ არის ბავშვი ასეთ ხასიათზე, არ ვეშვებით. შეიძლება ბავშვი პირველ ჯერზე არ მოვიდეს, მაგრამ რომ დაინახავს, რეალურად დაეხმარე, აღარასოდეს დაიხევს უკან, საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირ შენ მოგმართავს.

## მანდატურის სამსახური

**ზაზა ხუციშვილი:** ბავშვები ძალიან „ცუდი მსახიობები" არიან, როგორც კი რაღაც ხდება, ის ფუსფუსი მანდატურის თვალს არავითარ შემთხვევაში არ გამოეპარება. ვიწყებთ დამრიგებელთან ურთიერთობას, რამე ხომ არ შეამჩნია, სხვა პედაგოგებსაც გამოვკითხავთ, იწყება მოკვლევა, ზედმეტი ხმაურის გარეშე, რომ ბავშვები არ გავალიზიანოთ, ამავე დროს, ვიყოთ საქმის კურსში, მოვიპოვოთ ინფორმაცია, რომ დროზე ჩავრთოთ მშობლები. ხათუნა დამეთანხმება, რომ ჩვენი სამსახური, ძირითადად, პრევენციაზე მუშაობს. როცა უკვე რაღაც მოხდება და მერე გავატარებთ რაიმე ღონისძიებას, ეს არაფერს მოგვცემს. მთავარია, საწყის ეტაპზე დავინახოთ პრობლემა, რომ კონფლიქტი არ განვითარდეს. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, დიდი როლი ენიჭება დირექციას, დირექტორს, საიდანაც, რბილად რომ ვთქვა, ხშირად არ გვაქვს მხარდაჭერა და გაგება, მაგრამ მაინც ვცდილობთ, დავიყოლიოთ თანამშრომლობაზე, ყველანი აღმოვჩნდეთ იმ სიმაღლეზე, სადაც უნდა ვიყოთ.

### რითია დაკავებული მანდატურის სამსახური ზაფხულის არდადეგების პერიოდში?

ვემზადებით ახალი სასწავლო წლისთვის. არდადეგებზეც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მანდატურები ყოველდღე იმყოფებიან სკოლებში, მიმდინარეობს ინფორმაციის შეგროვება. დღესაც მთელი დღე დაკავებული ვარ მონაცემების დამუშავებით, ხელახლა იწერება რეკომენდაციები (სკოლამ რაღაც გამოასწორა ან ვერ გამოასწორა), მივმართავთ დირექტორებს. ასევე, მიმდინარეობს კადრების დამატება, მანდატურების გადაჯგუფება, კოორდინატორი წყვეტს, სად რომელი მანდატური უკეთ გამოავლენს თავს, ხდება როტაცია. ასე რომ, მთელი ზაფხული დატვირთულები ვართ.

ამავე დროს, მანდატურს მხოლოდ ზაფხულში შეუძლია შვებულებაში გასვლა, დებულებაში პირდაპირ გვიწერია, რომ შვებულებაში გასვლის წესს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი. ვცდილობთ, შედარებით არააქტიურ პერიოდში ავიღოთ შვებულება, რომ პროცესი არ დავაზარალოთ.

### მანდატურის სამსახური საზაფხულო ბანაკებშიც არის ჩართული?

დიახ, ანაკლიაში უკვე გაიხსნა ბანაკი, სადაც მანდატურიც გაიგზავნა. ჩვენი სამსახურის რეგიონული კოორდინატორები არეგულირებენ ამ პროცესს და, ბანაკის ლიდერებთან ერთად, ბავშვების უსაფრთხოებაზე მანდატურებიც ზრუნავენ. სანამ კოორდინატორი გავხდებოდი, რვაჯერ ვიყავი სხვადასხვა ბანაკში. იქ, ძირითადად, იმ სკოლების მოსწავლეები იყვნენ, სადაც მანდატური არ არის და ჩვენს იქ ყოფნას გაცნობითი ხასიათიც ჰქონდა. მომავალში იმ სკოლებშიც შევალთ, ბანაკში გატარებული დრო გარკვეული ადაპტაციის პერიოდი იყო. ჩამოდიოდნენ ჩვენი ფსიქოლოგებიც, კითხულობდნენ ლექციებს. ბავშვებს ძალიან დიდი სიმპატია აქვთ მანდატურების მიმართ.

**ხათუნა ხუბეჟოვი:** არის მომენტი, როცა თითქოს გიბრაზდებიან, როცა ოქმს უწერ ან აფრთხილებ. რა თქმა უნდა, არ გვინდა ბავშვის გაბრაზება, მაგრამ მაინც ვწერთ ოქმს, რომ შემდგომში უკეთეს შედეგზე გავიდეთ. როცა ხედავენ, რომ მანდატური სამართლიანი და მიუკერძოებელია, იმდენად გიმეგობრდებიან, რომ ხშირ შემთხვევაში, ბავშვი, რომელიც არღვევს წესრიგს, ჩვენთან უფრო ახლო კონტაქტშია და უკეთ ვიცნობთ.

**ზაზა ხუციშვილი:** მანდატური რომ ვიყავი, ისიც კი ვიცოდი, რომელ ბავშვს ვინ უყვარდა. ჩვენ გვიზიარებდნენ იმას, რასაც მეგობრებს ვერ ეუბნებოდნენ და გვთხოვდნენ რჩევას.

როცა პედაგოგი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობს სკოლაში, გარკვეული ურთიერთობები უყალიბდება ბავშვებთან, გამორჩეულებიც ჰყავს, მაინც მიკერძოებულია. მანდატური სკოლაში შედარებით მცირე პერიოდი არის და არანაირი მიკერძოების მომენტი იქ არ არსებობს. ჩვენ მედიატორის როლს ვასრულებთ დაპირისპირებულ მხარეებს შორის, ვცდილობთ შევარიგოთ, გავატაროთ ის ღონისძიებები, რაც კანონით გვევალება. უკვე ცხრა წელია, ამ სამსახურში ვმუშაობ და, ჩემი დაკვირვებით, ყველაზე კარგი ფსიქოლოგები ბავშვები არიან, ხათუნაც დამეთანხმება, როგორი მკაცრიც უნდა იყო, არ შეუსრულო თხოვნა (მაგალითად, სკოლიდან გასვლა უნდათ ცოტა ხნით), მაინც უყვარხარ და გენდობა იმიტომ, რომ გრძნობს, სამართლიანი და მიუკერძოებული ხარ.

**ხათუნა ხუბეჟოვი:** ერთი დღეც რომ არ გამოვჩნდე სკოლაში, უკვე მწერენ, მეკითხებიან, სხვა სკოლაში ხომ არ გადახვედით. ვგრძნობ, რომ მოვენატრე.

**ზაზა ხუციშვილი:** პირადად მე, ამ წლების განმავლობაში, იმდენი სიყვარული მივიღე, რომ ჩემს ცხოვრებაში ამის მეტი რომ არაფერი მოხდეს, ესეც საკმარისი იქნება. თექვსმეტ სკოლაში ვარ ნამუშევარი, იმ ბავშვებს უკვე უმაღლესებიც აქვთ დამთავრებული, მაგრამ დღემდე გვაქვს ურთიერთობა. ბევრს ვეღარც ვცნობ ხოლმე. ერთ დღეს მოვდივარ ვაკეში და ვხედავ, მორბიან ბავშვები, გავიწიე, ვიფიქრე, გავატარებ, ისინი კი, თურმე, ჩემთან მორბიან. გაიზარდნენ და მაინც ვახსოვარ. ასეთი დამოკიდებულება დათმობით და რაღაცაზე თვალის დახუჭვით არ მოგვიპოვებია. ფსიქოლოგები ერთმნიშვნელოვნად გვეუბნებიან, რომ რაღაცაზე თვალის დახუჭვა შემდგომი დანაშაულის სტიმულირებაა. ჩვენ ამ გზით ვერ წავალთ, უდიდესი პასუხისმგებლობა გვაქვს სახელმწიფოს წინაშე, კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ და სხვაგვარად წარმოუდგენელია, ჩვენ ხომ საჯარო სამსახური ვართ.

არც ერთი თვალსაზრისით არ არის სწორი გარკვეული მომენტისთვის მომგებიან სიტუაციაში თავის ჩაყენება. პირიქით, ვუხსნით, რომ თუ დაარღვია, აუცილებლად უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც. არასოდეს არ ვპირდებით იმას, რასაც ვერ შევასრულებთ. ესეც ძალიან დიდი პლუსია იმიტომ, რომ ბავშვები ყოველთვის ცდილობენ, გადაამოწმონ, რა შედეგი დადგება. თუ ბავშვმა დაინახა, რომ ის შედეგი არ დადგა, რასაც დაჰპირდი, მომავალში, აუცილებლად უარესად მოიქცევა, შეიძლება უმართავიც კი გახდეს.

**ხათუნა ხუბეჟოვი:** მე ოცდაექვსი სკოლა გამოვიცვალე და საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა. როცა სკოლაში ახალი მანდატური მიდის, ყველაფერს ცდიან, რა გაუვათ ახალ მანდატურთან. რომც არ უნდოდეთ წესრიგის დარღვევა, მაინც დაარღვევენ ან მასწავლებელს გააბრაზებენ, რომ ნახონ, როგორ მოიქცევა მანდატური. იცით, როგორ აკვირდებიან ჩვენს ყოველ ნაბიჯს.

**ზაზა ხუციშვილი:** იმაზე დიდი ბედნიერება არ არის, ბავშვი რომ მოვა და ერთ კანფეტს გამოგიწოდებს. ერთი შემთხვევა მქონდა, ახალ სკოლაში გადამიყვანეს და ერთი ბავშვი იყო ინკლუზიურ სწავლებაში ჩართული, დაუნის სინდრომით, ჯერ კარგად არ მიცნობდა, მაგრამ რომ გადიოდა სკოლიდან, მოვიდა, ჩამეხუტა და მითხრა: მე ხვალაც მოვალო. ჩათვალა, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ის ხვალ მოვიდოდა. ბავშვებიდან იმხელა სითბო მოდის, რომ წარმოუდგენელია ეს საქმე არ გიყვარდეს ადამიანს.

**ხათუნა ხუბეჟოვი:** თუ არ გიყვარს, ვერც იმუშავებ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომთხოვნები ვართ, თუ საჭიროა, არ გავიღიმებ, შეუვალიც ვიქნები, მაგრამ იციან, როცა გაუჭირდებათ, მათ გვერდით ვიქნები.

**ზაზა ხუციშვილი:** პრობაციონერებიც კი მყავდა სკოლაში, ზოგჯერ პედაგოგს არ ემორჩილებოდნენ, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, ჩემი ფეხის ხმაზე შედიოდნენ კლასში. რაღაც რიდი ჰქონდათ ჩემი, შიშის გამო არა, უბრალოდ იცოდნენ, რომ დაველაპარაკებოდი, მაინც მივიდოდით იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ მათი ქცევა არ იყო სწორი. აი, ასეთი საინტერესო სამსახური გვაქვს.

ესაუბრა ლალი თვალაბეიშვილი

## ინფორმაცია

# მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ

პროექტი „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ" უკვე მეოთხე წელია მიმდინარეობს. სამიზნე ჯგუფს საჯარო და კერძო სკოლების გეოგრაფიის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების, ინგლისური ენის, ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები წარმოადგენენ. პროექტის მიზანი მასწავლებლების ევროპულ ფასეულობებზე ინფორმირება, მათი ინტერესის გაზრდა და ევროინტეგრაციის პროცესში როგორც პედაგოგების, ისე მოსწავლეების ჩართვაა. პროექტი „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" და „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" ორგანიზებით, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2014 წლის მაისში, საშუალება მომეცა მონაწილეობა მიმეღო სემინარის „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ" მუშაობაში. სემინარი, შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, ძალიან საინტერესოა პედაგოგებისთვის. გარდა იმისა, რომ ვხვდებით ცნობილ ექსპერტებს და ვისმენთ საინტერესო პრეზენტაციებს ევროპული ღირებულებების, მიღწევების და გამოცდილების შესახებ, სემინარის დამთავრების შემდეგ ცხადდება პროექტების კონკურსი, რომელიც შეეხება ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას, ევროინტეგრაციის პროცესში პედაგოგების, მოსწავლეების და, ზოგადად, სასკოლო საზოგადოების ჩართვას. სწორედ ამ კონკურსის ფარგლებში, მოვხვდი იმ ათ გამარჯვებულ მასწავლებელს შორის, რომლებიც, 4-8 ივნისს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ესტონური ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, სასწავლო ვიზიტით ესტონეთში იმყოფებოდნენ.

პროექტის „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ" გამარჯვებული პედაგოგები ოთხი დღის განმავლობაში გავეცანით ესტონური განათლების სისტემას, მიმდინარე რეფორმებს და ინიციატივებს. ჩვენთვის, ქართველი პედაგოგებისათვის, ძალიან საინტერესო იყო პეეტრის საჯარო სკოლაში ვიზიტი. სიახლე და საინტერესო გამოცდილება აღმოჩნდა ისიც, რომ საბაზო და საშუალო საფეხური მკვეთრადაა გამიჯნული. ერთ დაწესებულებაშია განთავსებული საბავშვო ბაღი და I-IX კლასები. შესაბამისად, ადვილი წარმოსადგენია, როგორ ბუნებრივად მოხდება საბავშვო ბაღიდან სკოლაში ინტეგრაცია. I-VI კლასში ნიშნები არ იწერება და მოსწავლეებს განმავითარებელი კომენტარებით აფასებენ. IX კლასის დასრულების შემდეგ, გამოსაშვები გამოცდების საფუძველზე, მოსწავლე სწავლას აგრძელებს გიმნაზიაში X-XII კლასებში და ემზადება უმაღლესი განათლებისთვის. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია პროექტორით, ინტერნეტკავშირით, ყველა საჭირო რესურსით და თვალსაჩინოებით. მოსწავლეებისთვის სავალდებულო საგაკვეთილო საგნებში შედის: ხეზე კვეთის, კერვის, ქსოვის, საჭმლის მომზადების, დაუთოების, ხელოვნების და სპორტის გაკვეთილები – ის აუცილებელი და საჭირო აქტივობები, რომლის დროსაც შეძენილი უნარ-ჩვევები მოსწავლეებს მთელი ცხოვრება გამოადგებათ. მასწავლებლები ელექტრონულ ჟურნალს აწარმოებენ. მშობლები შვილებს წელიწადში ორჯერ აფასებენ. ესტონელები ყოველწლიურ საშობაო ღონისძიებას და წლის ბოლოს, მასწავლებლებთან და შვილებთან ერთად, გასვლით (პიკნიკს) ღონისძიებას აწყობენ.







ასევე ძალიან საინტერესო იყო, ტალინიდან 2 საათის სავალზე, ქალაქ ვილიანდში სტუმრობა. ჩვენი მასპინძელი იყო და მეგზურობა გაგვიწია ვილიანდის ყოფილმა მერმა, ანდო კივიბერგმა. გაგვაოცა მისმა უზომო სიყვარულმა თავისი ქალაქისა და საქმის მიმართ. როგორც თვითონ აღნიშნა, ამ ქალაქის განვითარებაში დიდი როლი აქვს ევროკავშირის დაფინანსებებს, გრანტებს. ყურადღებით გავეცანით ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და მნიშვნელოვან საწარმოებს. მივხვდით, როგორ შეიძლება, მიზანმიმართული და ქმედითი აქტივობებით, ჩვეულებრივი, პატარა ქალაქი ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად გადაიქცეს.

ცალკე საუბრის თემაა ესტონელების განსაკუთრებული სიყვარული და მეგობრული დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველების მიმართ. ეს მათ ყოველ სიტყვაში, ქმედებასა და ჟესტში გამოიკვეთებოდა. ესტონელი პარტნიორები ყველა საქმეში ჩვენ გვერდში დგანან და ამის დასტური იყო მასწავლებლების ძალზე მნიშვნელოვანი ვიზიტი ესტონეთში. ჩვენ ვიცით, რომ ესტონურ-ქართული ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. იქ მიწვეული პედაგოგები მიღებულ გამოცდილებას გავუზიარებთ კოლეგებს და, შეძლებისდაგვარად, შევეცდებით იქ ნანახი სიახლეები და სასწავლო პრაქტიკა ეტაპობრივად დავნერგოთ ჩვენს სკოლებში.

ნონა ყაველაშვილი
*სსიპ სოფელ ზოდის საჯარო სკოლის დირექტორი, ისტორიის მასწავლებელი*

# პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად გთავაზობთ დამხმარე მასალას, რომელიც კითხვა–პასუხის ფორმატშია მომზადებული

## CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

### TƏLIM VƏ INKIŞAF NƏZƏRIYYƏLƏRI

**272 Maslou piramidasının dördüncü pilləsi necədir?**
Qiymətləndirilmə tələbatı, yəni özünü bəyənmək tələbatı (müsbət özünüqiymətləndirmənin olması); başqa insanlar tərəfindən tanınma, hörmət və bəyənmə tələbatı; nailiyyət, peşəkarlıq və müstəqillik tələbatı.

**273. Maslou piramidasının beşinci pilləsi necədir?**
Bu, özünügerçəkləşdirmə tələbatıdır, yəni özünün təkrarolunmaz potensialının tam gerçəkləşdirilməsi tələbatı. Özünüaktuallaşdırma tələbatı çatışmazlığın doldurulmasına deyil, şəxsi inkişaf və onun imkanlarının gerçəkləşdirilməsinə yönəlmişdir.

**274. İnsanda yüksək səviyyəli tələbat nə vaxt yaranır?**
Hər bir pillənin tələbatının qarşılanmasından sonra növbəti pillənin tələbatı aktuallaşır, yəni insanın yüksək səviyyəli tələbatları aşağı səviyyədə fiziki və emosional firavanlığı üçün lazımi tələbatların ödənildiyindən sonra yaranır.

**275. Aşağı pillənin tələbatının ödənilmədiyi halda, insanın davranışını yuxarı pillənin tələbatının aparması nə dərəcədə mümkündür?**
Maslou modelinin iyerarxivliyinə baxmayaraq, müəyyən hallarda, ola bilsin ki, insanın davranışını yuxarı pillənin tələbatı elə apara bilər ki, aşağı pillənin tələbatı ödənilməmiş olsun.

**276. Ola bilərmi ki, xarici cəhətdən eyni davranışın fərqli motivasiya əsası olsun?**
İnsanın davranışı mürəkkəb bir fenomendir və xarici cəhətdən eyni davranışın fərqli motivasiya əsası olsun. Məsələn, şagirdin davranışına – yaxşı oxumağa – müxtəlif motiv səbəb ola bilər. Bəziləri üçün yaxşı oxumağın motivi cəzalandırma qorxusu, bəziləri üçün – maraq, bəziləri üçün də tanınma tələbatıdır.

**277. Xarici və daxili motivasiyanın əsası nədən ibarətdir?**
Motivasiya psixologiyasında xarici və daxili motivasiyanı ayırırlar. Maslonun iyerarxiya modelində xarici stimullar (xarici motivasiya) davranışı birinci iki – psixoloji və təhlükəsizlik tələbatlarının – səviyyəsində, qalan üç səviyyədə isə insanın davranışında daxili stimullar (daxili motivasiya) əsası təşkil edir.

**278. Maslouya əsasən, tədris nədən asılıdır və təlimin tələbatına təkan verən nə ola bilər?**
Effektiv tədris şagirdlərin motivasiyasının səviyyəsindən asılıdır. Maslou iyerarxiyasına əsasən, təlimin tələbatına fərqli səviyyədə motivasiya təkan verə bilər. Bu, uşağın yaşı və fərdi xüsusiyyətlərindən asılı ola bilər. İbtidai siniflərin şagirdləri üçün əvvəlcə təhlükəsizlik, sonra isə mənsubiyyət tələbatının ödənilməsi çox vacibdir, yeniyetmələr üçün isə aparıcı artıq özünə hörmət tələbatı olur.

**279. Maslou motivasiyasının iyerarxiya nəzəriyyəsi üzrə biliyi təcrübəçi müəllimə hansı imkanı verir?**
1. Maslou motivasiyasının iyerarxiya nəzəriyyəsinin biliyi təcrübəçi müəllimlərə imkan verir ki, şagirdin iyerarxiyanın hansı pilləsində olduğunu təyin etsinlər;
2. Müəyyən etsinlər ki, təlimin əsasında hansı motivlər durur, nəyin nəticəsində təlimin müvafiq strategiyalarının işlənib hazırlanması və şagirdin təlim prosesinə cəlb olunmasının təminatı mümkündür.

## SINIF OTAĞININ FIZIKI MÜHITI

**280. Sinif otağının fiziki mühiti nəyə xidmət edir?**
Sinif otağının fiziki mühiti dərs məsələlərinin yerinə

## მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

### სწავლის და განვითარების თეორია

**272 როგორია მასლოუს პირამიდის მეოთხე საფეხური?**
**დაფასების მოთხოვნილება**, ანუ მოთხოვნილება იმისა, რომ მოგწონდეს საკუთარი თავი (გქონდეს დადებითი თვითშეფასება); სხვა ადამიანების მიერ აღიარების, პატივისცემის და მოწონების მოთხოვნილება; წარმატების, კომპეტენტურობის და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება.

**273. როგორია მასლოუს პირამიდის მეხუთე საფეხური?**
ეს არის **თვითრეალიზების მოთხოვნილება**, ანუ საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრული რეალიზაციის მოთხოვნილება. თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება დანაკლისის შევსებაზე კი არ არის მიმართული, არამედ პიროვნების განვითარებასა და მისი შესაძლებლობების რეალიზაციაზე.

**274. როდის უჩნდება ადამიანს მაღალი დონის მოთხოვნილება?**
ყოველი საფეხურის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ აქტუალური ხდება მომდევნო საფეხურის მოთხოვნილება. ანუ ადამიანს მაღალი დონის მოთხოვნილებები გაუჩნდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული აქვს დაბალი დონის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობისათვის საჭირო მოთხოვნილებები.

**275. რამდენად შესაძლებელია, ადამიანის ქცევას წარმართავდეს ზედა საფეხურის მოთხოვნილება, როდესაც დაკმაყოფილებული არაა ქვედა საფეხურის მოთხოვნილება?**
მიუხედავად მასლოუს მოდელის იერარქიულობისა, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ადამიანის ქცევას წარმართავდეს ზედა საფეხურის მოთხოვნილება ისე, რომ არ იყოს დაკმაყოფილებული ქვედა საფეხურის მოთხოვნილება.

**276. შეიძლება თუ არა, რომ გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას განსხვავებული მოტივაცია ედოს საფუძვლად?**
ადამიანის ქცევა რთული ფენომენია და გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას შეიძლება განსხვავებული მოტივაცია ედოს საფუძვლად. მაგალითად, მოსწავლის ქცევა – კარგად სწავლა – შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ზოგისთვის კარგად სწავლის მოტივია დასჯის შიში, ზოგისთვის – ინტერესი, ზოგისთვის კი – აღიარების მოთხოვნილება.

**277. რა უდევს საფუძვლად გარეგან და შინაგან მოტივაციას?**
მოტივაციის ფსიქოლოგიაში განასხვავებენ გარეგან და შინაგან მოტივაციას. მასლოუს იერარქიულ მოდელში გარეგანი სტიმულები (გარეგანი მოტივაცია) ქცევას აღძრავს პირველ ორ – ფიზიოლოგიურ და უსაფრთხოების მოთხოვნილებების – დონეზე, დანარჩენ სამ დონეზე კი ადამიანის ქცევას შინაგანი სტიმულები (შინაგანი მოტივაცია) უდევს საფუძვლად.

**278. მასლოუს მიხედვით, რაზეა დამოკიდებული სწავლება და რა შეიძლება იყოს სწავლის მოთხოვნილების აღმძვრელი?**
ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების აღმძვრელი შეიძლება იყოს განსხვავებული დონის მოტივაცია. ეს დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებაზეც. დაწყებით კლასებში მოსწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჯერ უსაფრთხოების და შემდეგ მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო მოზარდებისთვის წამყვანი უკვე თვითპატივისცემის მოთხოვნილება ხდება.

**279. რის საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებლებს მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა?**
1. მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებლებს, დაადგინონ იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე;
2. განსაზღვრონ, რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, რის შედეგადაც შესაძლებელია სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

## საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო

**280. რას ემსახურება საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო?**
საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო ემსახურება სასწავლო ამოცანების შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკლასო საქმიანობაში მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას.

## Կարևոր հարցեր պատասխաններով

### ՈՒՍԱՆՄԱՆ ԵՎ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՏԵՍՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

**272 Ինչպիսի՞ն է Մասլոուի բուրգի չորրորդ աստիճանը:**
Գնահատման պահանջմունք կամ պահանջմունք նրա, որ հավանես ինքդ քեզ (ունենաս դրական ինքնագնահատական), ուրիշ մարդկանց կողմից ճանաչման, հարգանքի և հավանության պահանջմունք, հաջողության, կոմպետենտության և անկախության պահանջմունք:

**273. Ինչպիսի՞ն է Մասլոուի բուրգի հինգերորդ աստիճանը:**
Սա ինքնաիրացման պահանջմունքն է կամ սեփական եզակի ներուժի լրիվ իրացման պահանջմունքը: Ինքնաիրացման պահանջմունքը ոչ թե պակասը լրացնելուն է միտված, այլ անհատի զարգացմանը և նրա հնարավորությունների իրացմանը:

**274. Ե՞րբ է մարդու մոտ առաջանում բարձր մակարդակի պահանջմունքը:**
Յուրաքանչյուր աստիճանի պահանջմունքի բավարարումից հետո հրատապ է դառնում հաջորդ աստիճանի պահանջմունքը: Այսինքն՝ մարդու մոտ բարձր մակարդակի պահանջմունքներն առաջանում են այն ժամանակ, երբ բավարարված են ցածր մակարդակի ֆիզիկական և հուզական բարեկեցության համար անհրաժեշտ պահանջմունքները:

**275. Որքանո՞վ է հնարավոր մարդու վարքը առաջնորդի վերին աստիճանի պահանջմունքը, երբ բավարարված չէ ստորին աստիճանի պահանջմունքը:**
Չնայած Մասլոուի մոդելի ստորակարգությանը, որոշակի դեպքերում, հնարավոր է մարդու վարքը առաջնորդի վերին աստիճանի պահանջմունքն այնպես, որ բավարարված չլինի ստորին աստիճանի պահանջմունքը:

**276. Հնարավո՞ր է արդյոք, որ արտաքինից միևնույն վարքի հիմքում դրված լինի տարբեր մոտիվացիա:**
Մարդու վարքը բարդ ֆենոմեն է, և արտաքինից միևնույն վարքի հիմքում կարող է դրված լինել տարբեր մոտիվացիա: Օրինակ, աշակերտի վարքը, լավ սովորելը կարող է տարբեր դրդապատճառներով լինեն պայմանավորված:
Ոմանց համար լավ սովորելու դրդապատճառ է պատժվելու վախը, ոմանց համար՝ հետաքրքրությունը, իսկ ոմանց համար՝ ճանաչված լինելու պահանջմունքը:

**277. Ի՞նչ է դրված արտաքին և ներքին մոտիվացիաների հիմքում:**
Մոտիվացիայի հոգեբանության մեջ տարբերակում են արտաքին և ներքին մոտիվացիաներ: Մասլոուի ստորակարգային մոդելում արտաքին խթանները (արտաքին մոտիվացիան) վարք են առաջացնում առաջին երկու՝ ֆիզիոլոգիական և անվտանգության պահանջմունքների, մակարդակում, իսկ մնացած երեք մակարդակներում մարդու վարքի հիմքում դրված են ներքին խթանները (ներքին մոտիվացիան):

**278. Ըստ Մասլոուի, ինչից է կախված ուսուցումը և ի՞նչը կարող է շարժել ուսանման պահանջմունք:**
Արդյունավետ ուսուցումը կախված է աշակերտների մոտիվացիայի մակարդակից: Մասլոուի ստորակարգության համաձայն, ուսանման պահանջմունքը կարող է շարժել տարբերվող մակարդակի մոտիվացիան: Սա կախված է երեխայի տարիքից և անհատական առանձնահատկություններից: Տարրական դասարաններում աշակերտի համար անչափ կարևոր է դեռ անվտանգության և այնուհետև պատկանելության պահանջմունքի բավարարումը, իսկ դեռահասների համար արդեն առաջատար է դառնում ինքնահարգանքի պահանջմունքը:

**279. Ինչի՞ հնարավորություն է տալիս աշխատող ուսուցիչներին Մասլոուի մոտիվացիայի ստորակարգության տեսության իմացությունը:**
1. Մասլոուի մոտիվացիայի ստորակարգության տեսության իմացությունը հնարավորություն է տալիս աշխատող ուսուցիչներին որոշել, թե ստորակարգության որ աստիճանում է աշակերտը: 2. Սահմանել, թե ինչ դրդապատճառներ են դրված ուսանման հիմքում, ինչի արդյունքում էլ հնարավոր է ուսանման պատշաճ ռազմավարություններ մշակել և ապահովել աշակերտի ներգրավվածություն ուսումնական գործընթացի մեջ:

## პროფესიული განვითარება

yetirilməsinə xidmət edir ki, bu da sinif fəaliyyətində şagirdin maksimal cəlb olunmasını təmin edir.

**281. Sinif otağının məkan bölgüsünün hansı yanaşmaları vardır?**
Bir yanaşma sinif otağını elə bir yer kimi təhlil edir ki, burada şagird sinfin təşkilinin özünəməxsusluğundan irəli gələrək, əsasən fərdi işi yerinə yetirir. İkinci yanaşma sinif otağını müxtəlif dərs təyinatlı zonalara bölür.

**282. Fərdi işin yerinə yetirilməsinə yönəlmiş sinif otağı necədir?**
Fərdi işin yerinə yetirilməsinə yönəlmiş, bölünməmiş sinif otağında şagirdin özünün yeri var və tapşırığın böyük hissəsini yerini tərk etməyərək həll edir.

**283. Sinif otağının bölgüsündə hansı zonaları ayırırlar?**
Giriş zonası, sərgi zonası, kitabxana zonası, anbar zonası, texnoloji zona, fəaliyyət zonası,

**284. Giriş zonası nəyə xidmət edir?**
Giriş zonası şagirdə imkan verir ki, bir mühitdən ikinciyə keçid alsın.

**285. Sərgi zonası nəyə xidmət edir?**
Sərgi zonası dərs materialının vizual möhkəmlənməsinə xidmət edir.

**286. Kitabxana zonası nəyə xidmət edir?**
Kitabxana zonası şagirdə imkan verir ki, sinif otağından çıxmayaraq müstəqil şəkildə istənilən materialı axtara bilsin.

**287. Anbar zonası nəyə xidmət edir?**
Anbar zonasında müəllim dərs prosesində istifadə edilən materialı saxlayır.

**288. İş zonası nəyə xidmət edir?**
İş zonası fərdi və kiçik qrupda iş üçün nəzərdə tutulmuşdur. Bu, yazı, şəkil çəkmək və nəyinsə təşkili üçün rahat və əlverişli yerdir.

**289. Texnoloji zona nəyə xidmət edir?**
Texnoloji zonaya hər şey düşə bilər – hesablayıcı, videoaparat, kompüter, proyektor və s.

**290. Sinfin fiziki mühitinin effektiv istifadəsində müəllimə nə yardım edir?**
Qrupların idarəetməsinin müxtəlif texnikasına və interaktiv tədris texnologiyalarına sahib olmaqdır.

**291. Müəllimin sinifdə yeri necə müəyyənləşdirilir?**
Sinifdə müəllimin yeri fiziki mühitin özünəməxsusluqları və onun tərəfindən şagirdlərlə ünsiyyətin seçilmiş tərzi ilə müəyyən edilir.

**292. Fərdi sahə nədir?**
Fərdi sahə insanla rahatlıq və təhlükəsizliyin arasındakı məsafədir.

**293. Fərdi sahənin pozulmasına nə səbəb olur?**
Fərdi sahənin pozulmasına emosional gərginlik səbəb ola bilər və şagirdə tapşırığı yerinə yetirməkdə mane ola bilər. Şagirdin fərdi sahəsi pozula bilər, amma onun hazırlığının qiymətləndirilməsi vacibdir ki, şagird digər insanı öz fərdi sahəsinə buraxmağa imkan verirmi.

## İstifadə edilən ədəbiyyat


1. M.Boçorişvili, N.Nabulişvili, İnteraktiv dərs elementləri. 1 və 2 hissə, 2005;
2. Tədris və qiymətləndirmə, Müəllimlərin Peşəkar İnkişafı Mərkəzi. 2008;
3. Dərs mühiti, Müəllimlərin Peşəkar İnkişafı Mərkəzi. 2008;
4. İbtidai sinif müəllimləri üçün təlim və inkişaf nəzəriyyələri, Müəllimlərin Peşəkar İnkişafı Mərkəzi. 2008;
5. Savadlılıq, riyazi savad və həyati bacarıqların məlumat kitabçası , Vətəndaş İnkişafı İnstitutu 2011;
6. Milli Tədris Planı 2011-2016;
7. Effektiv tədris nəzəriyyəsi və təcrübə. Milli Təcrübə Mərkəzi, Tədqiqat departamenti. 2010;
8. Woolfolk, A. Educational Psychology. The Ohio State University. APearson
Education Company. 2001. 8th edition;
9. Suwe B.S. Transforming the whole class into gossiping groups.Forum. 2002.
Volume40, Number 1, pg44-49;
10. http://www.columbia.edu/cu/tat/old/4_teaching.html.


**Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova**

**281. საკლასო ოთახის სივრცის განაწილების რა მიდგომები არსებობს?**
ერთი მიდგომა საკლასო ოთახს განიხილავს, როგორც ადგილს, სადაც მოსწავლე, კლასის მოწყობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად, ინდივიდუალურ სამუშაოს ასრულებს. მეორე მიდგომა საკლასო ოთახს ანაწევრებს სხვადასხვა სასწავლო დანიშნულების ზონებად.

**282. როგორია ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული საკლასო ოთახი?**
ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებულ, დაუნაწევრებელ საკლასო ოთახში მოსწავლეს აქვს საკუთარი ადგილი და მას შეუძლია დავალების დიდი წილი განახორციელოს ადგილიდან გაუსვლელად.

**283. რა ზონებს გამოყოფენ საკლასო ოთახის დანაწევრებისას?**
შემოსასვლელი ზონა, საგამოფენო ზონა, ბიბლიოთეკის ზონა, სათავსო ზონა, ტექნოლოგიური ზონა, სამუშაო ზონა.

**284. რას ემსახურება შემოსასვლელი ზონა?**
შემოსასვლელი ზონა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გადაერთოს ერთი გარემოდან მეორეზე.

**285. რას ემსახურება საგამოფენო ზონა?**
საგამოფენო ზონა ემსახურება სასწავლო მასალის ვიზუალურ განმტკიცებას.

**286. რას ემსახურება ბიბლიოთეკის ზონა?**
ბიბლიოთეკის ზონა მოსწავლეს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად შეძლოს სასურველი მასალის მოძიება საკლასო ოთახიდან გაუსვლელად.

**287. რას ემსახურება სათავსო ზონა?**
სათავსო ზონაში მასწავლებელი ინახავს სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალას.

**288. რას ემსახურება სამუშაო ზონა?**
სამუშაო ზონა გათვალისწინებულია ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფში მუშაობისათვის. ეს წერის, ხატვისა და რაიმეს აწყობისთვის საჭირო მყუდრო და მოხერხებული ადგილია.

**289. რას ემსახურება ტექნოლოგიური ზონა?**
ტექნოლოგიურ ზონაში შეიძლება მოხვდეს ყველაფერი – კალკულატორი, ვიდეოგადამღები, კომპიუტერი, პროექტორი და სხვ.

**290. რა ეხმარება კლასის ფიზიკური გარემოს ეფექტურ გამოყენებაში მასწავლებელს?**
ჯგუფების მართვის სხვადასხვა ტექნიკა და სწავლების ინტერაქტიული ტექნოლოგიების ფლობა.

**291. როგორ განისაზღვრება კლასში მასწავლებლის ადგილი?**
კლასში მასწავლებლის ადგილი განისაზღვრება ფიზიკური გარემოს თავისებურებებითა და მის მიერ მოსწავლეებთან ურთი-ერთობის შერჩეული სტილით.

**292. რა არის პირადი ველი?**
პირადი ველი არის ის მანძილი ადამიანებს შორის, რომელიც კომფორტული და უსაფრთხოების მომგვრელია.

**293. რას იწვევს პირადი ველის დარღვევა?**
პირადი ველის დარღვევამ შეიძლება ემოციური დაძაბულობა გამოიწვიოს და მოსწავლეს დავალების შესრულებაში ხელი შეუშალოს. მოსწავლის პირადი ველის დარღვევა შესაძლებელია, მაგრამ აუცილებელია შეფასდეს მისი მზაობა, აძლევს თუ არა მოსწავლე მეორე ადამიანს მის პირად ველში შესვლის საშუალებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. მ. ბოჭორიშვილი, ნ. ნაბულიშვილი, ინტერაქტიული გაკვეთილის ელემენტები.
I და II ნაწილი, 2005;
2. სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008;
3. სასწავლო გარემო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008;
4. სწავლის და განვითარების თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2008;
5. წიგნიერების, მათემატიკური წიგნიერების და სასიცოცხლო უნარების გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. 2011;
6. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016;
7. ეფექტური სწავლება – თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი. 2010;
8. Woolfolk, A. Educational Psychology. The Ohio State University. A Pearson Education Company. 2001. 8th edition;
9. Suwe B.S. Transforming the whole class into gossiping groups. Forum. 2002. Volume 40, Number 1, pg 44-49;
10. http://www.columbia.edu/cu/tat/old/4_teaching.html.


*მომზადდა ასოციაცია „ზეკართან“ თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.*

## ԴԱՍԱՍԵՆՅԱԿԻ ՖԻԶԻԿԱԿԱՆ ՄԻՋԱՎԱՅՐԸ

**280. Ի՞նչին է ծառայում դասասենյակի ֆիզիկական միջավայրը:**
Դասասենյակի ֆիզիկական միջավայրը ծառայում է ուսումնական խնդիրների կատարմանը, ինչն ապահովում է դասարանական գործունեության մեջ աշակերտի առավելագույն ներգրավում:

**281. Դասասենյակի տարածքի բաշխման ի՞նչ մոտեցումներ գոյություն ունեն:**
Մի մոտեցումը դասասենյակը քննարկում է որպես տեղ, որտեղ աշակերտը, ելնելով դասարանի կազմակերպման առանձնահատկությունից, հիմնականում անհատական աշխատանք է կատարում: Երկրորդ մոտեցումը դասասենյակը մասնատում է տարբեր ուսումնական նշանակման գոտիների:

**282. Ինչպիսի՞ն է անհատական աշխատանքի կատարմանը կողմնորոշված դասասենյակը:**
Անհատական աշխատանքի կատարմանը կողմնորոշված, չմասնատված դասասենյակում աշակերտն ունի սեփական տեղը, և նա կարող է առաջադրանքի մեծ մասն իրականցնել առանց տեղից դուրս գնալու:

**283. Ի՞նչ գոտիներ են առանձնացնում դասասենյակի բաժանման ժամանակ:**
Մուտքի գոտի, ցուցահանդեսային գոտի, գրադարանի գոտի, զետեղարանների գոտի, տեխնոլոգիական գոտի, աշխատանքային գոտի:

**284. Ի՞նչին է ծառայում մուտքի գոտին:**
Մուտքի գոտին աշակերտին հնարավորություն է տալիս տեղափոխվել մի միջավայրից մյուսը:

**285. Ի՞նչին է ծառայում ցուցահանդեսային գոտին:**
Ցուցահանդեսային գոտին ծառայում է ուսումնական նյութի տեսանելիորեն ամրապնդմանը:

**286. Ի՞նչին է ծառայում գրադարանի գոտին:**
Գրադարանի գոտին աշակերտին հնարավորություն է տալիս ինքնուրույն կարողանալ գտնել ցանկալի նյութը առանց դասասենյակից դուրս գնալու:

**287. Ի՞նչին է ծառայում զետեղարանների գոտին:**
Զետեղարանների գոտում ուսուցիչը պահում է ուսումնական գործընթացում օգտագործված նյութը:

**288. Ի՞նչին է ծառայում աշխատանքային գոտին:**
Աշխատանքային գոտին նախատեսված է անհատական և փոքր խմբում աշխատելու համար: Սա գրելու, նկարելու և որևէ բան հավաքելու համար անհրաժեշտ հարմարավետ վայր է:

**289. Ի՞նչին է ծառայում տեխնոլոգիական գոտին:**
Տեխնոլոգիական գոտու մեջ կարող է հայտնվել ամեն ինչ՝ հաշվիչը, տեսանկարահանող սարքը, համակարգիչը, պրոյեկտորը և այլն:

**290. Ի՞նչն է օգնում ուսուցչին դասարանի ֆիզիկական միջավայրի արդյունավետ օգտագործման մեջ:**
Խմբերի կառավարման տարբեր տեխնիկան և ուսուցման ինտերակտիվ տեխնոլոգիաների տիրապետումը:

**291. Ինչպե՞ս է սահմանվում դասարանում ուսուցչի տեղը:**
Դասարանում ուսուցչի տեղը սահմանվում է ֆիզիկական միջավայրի առանձնահատկությամբ և նրա կողմից աշակերտների հետ հարաբերության ընտրված ոճով:

**292. Ի՞նչ է անձնական դաշտը:**
Անձնական դաշտն այն տարածությունն է մարդկանց միջև, որը հարմարավետ է և անվտանգություն պատճառող է:

**293. Ի՞նչ է հարուցում անձնական դաշտի խախտումը:**
Անձնական դաշտի խախտումը կարող է հարուցել հուզական լարվածություն և խանգարել աշակերտի առաջադրանքի կատարմանը: Աշակերտի անձնական դաշտի խախտումը հնարավոր է, սակայն անհրաժեշտ է գնահատվի նրա պատրաստակամությունը, թե արդյոք աշակերտը տալիս է մյուս մարդկանց իր անձնական դաշտ մտնելու իրավունք:

## ՕԳՏԱԳՈՐԾՎԱԾ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ


1. Մ. Բոճորիշվիլի, Ն.Նաբուլիշվիլի, Ինտերակտիվ դասի տարրերը: 1 և 2 մաս, 2005:
2. Ուսուցումը և գնահատումը, Ուսուցիչների մասնագիտական զարգացման կենտրոն: 2008:
3. Ուսումնական միջավայր, Ուսուցիչների մասնագիտական զարգացման կենտրոն 2008;
4. Ուսանման և զարգացման տեսություններ, Ուսուցիչների մասնագիտական զարգացման կենտրոն: 2008:
5. Գրագիտության, մաթեմատիկական գրագիտության և կենսական ունակությունների ուղեցույց տարրական աստիճանի ուսուցիչների համար, Քաղաքացիական զարգացման ինստիտուտ: 2011:
6. Ազգային ուսումնական պլան, 2011-2016:
7. Արդյունավետ ուսուցում. տեսություն և պրակտիկա: Քննությունների ազգային կենտրոն, Հետազոտությունների դեպարտամենտ: 2010:
8. Woolfolk, A. Educational Psychology. The Ohio State University. A Pearson
Education Company. 2001. 8th edition;
9. Suwe B.S. Transforming the whole class into gossiping groups. Forum. 2002.
Volume 40, Number 1, pg 44-49;
10. http://www.columbia.edu/cu/tat/old/4_teaching.html.


**Թարգմանությունը՝ Զոյա Միխիթարյանի**

პროფესია პედაგოგი

# მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება მნიშვნელოვანია



**დარიკო ხვედელიძე**
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთის საჯარო სკოლის დირექტორი, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

## ჩემ შესახებ

ამაყი და ბედნიერი ვარ, რადგან შესაძლებლობა მომეცა გაგაცნოთ ჩემი თავი. მე ვარ დარიკო ხვედელიძე – 37 წლის, პროფესიით მასწავლებელი. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავირიცხე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. 2003 წელს წარმატებით დავამთავრე ისტორიის ფაკულტეტი, ამავე წელს გავხდი ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი. 2011 წელს ჩავირიცხე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების დოქტორანტურაში. 2013 წლის 29 მარტს დავიცავი დისერტაცია თემაზე „PR განათლების სისტემაში". დისერტაციამ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი მომენიჭა. გამოქვეყნებული მაქვს 8 სამეცნიერო ნაშრომი და ვმონაწილეობდი საერთაშორისო კონფერენციებში. 2001 წლიდან ვმუშაობ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთის საჯარო სკოლაში, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგად. 2006 წელს წარმატებით ჩავაბარე დირექტორთა გამოცდები და 2008 წლიდან, პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, ვხელმძღვანელობ დარკვეთის საჯარო სკოლას. 2017 წელს, პილოტირების რეჟიმში, გავიარე გარე დაკვირვება და მომენიჭა ჭიათურის მუნიციპალიტეტში რიგით პირველი წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

## პროფესიის არჩევანი

სკოლას ვამთავრებდი, როცა თომას ედისონის შესახებ წავიკითხე. გარკვეულწილად, მისმა ისტორიამაც გადამაწყვეტინა პედაგოგი გავმხდარიყავი, სწორედ მისი „თავგადასავალი" გახდა ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მთავარი სტიმული. ამავე დროს, ჩემი არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ პედაგოგთა გარემოცვაში ვიზრდებოდი. ჩემი მშობლები მასწავლებლები არიან და მუდმივად მიწევდა იმ ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში ყოფნა, რამაც ჩემში ამ პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა ჩამოაყალიბა.

## წარმატების ფორმულა

ჩემი აზრით, წარმატების მისაღწევად მთავარია საქმისადმი სიყვარული, მუდმივად ზრუნვა განვითარებისთვის. თანამედროვე პედაგოგი, პირველ რიგში, უნდა იყოს პროფესიონალი, მოწესრიგებული, ენერგიული, მიზანსწრაფული, ჰქონდეს კრეატიული აზროვნების უნარი, საჭირო ცოდნისა და სწავლების პროცესისადმი ახლებური, თუნდაც განსხვავებული ხედვა, უნდა იყოს შრომისმოყვარე, პატივს სცემდეს იმ საქმეს, რასაც აკეთებს. საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება თავისთავად ავტორიტეტის მოპოვების და შენარჩუნების საწინდარია. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მასწავლებლის ნდობა და შეეძლოს მასთან ნებისმიერ თემაზე საუბარი, იყოს გულწრფელი და, რაც მთავარია, მასწავლებელი უნდა ფლობდეს მოსწავლეთათვის საინტერესო მრავალფეროვან ინფორმაციას და ჰქონდეს კარგი გადმოცემის უნარი.

## თანამედროვე სკოლის პრობლემები

თანამედროვე ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის უნდა იყოს ნდობასა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, პედაგოგი ბავშვის უფროსი მეგობარი, მრჩეველი და კეთილის მოსურნეა, ვინც გულისყურით მოეკიდება მის პრობლემებს. მასწავლებელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს დრო თითოეული მოსწავლის სურვილების, ინტერესებისა და პრობლემების შესწავლა-გაგებისათვის, უახლესი და საჭირო ინფორმაციის გაცნობა-გაზიარებისთვის. ამიტომ, სასურველია სკოლებში პერიოდულად მიავლინონ სპეციალისტები პროფესიული სიახლეებისა და საერთაშორისო ახალი მნიშვნელოვანი ტენდენციების გასაცნობად.

თანამედროვე სკოლებში, სწავლების პროცესთან ერთად, ყურადღებას ურთიერთობების პრობლემებიც საჭიროებს. მათ დაძლევას, შეძლებისდაგვარად, ვუმკლავდებით, მაგრამ თანამედროვე მასმედია იმდენ სურვილების აღმძვრელ ინფორმაციას აწვდის მოზარდ თაობას, უბრალოდ, შეუძლებელია მარტივად მათი დაკმაყოფილება. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები კი ზრდის ადამიანის/მოზარდის სისხლში ტესტოსტერონის ჰორმონის შემცველობას, რაც ადამიანს/მოზარდს აგრესიისა და ძალადობისკენ უბიძგებს. სკოლის მოსწავლეებში აგრესია/ძალადობა წარმოჩინდება რაიმე ნივთის (მაგ. მობილური ტელეფონი) ან ფულის „შეწერის" (მოთხოვნის) სახით, რაც ბულინგის ფორმას იძენს და ხელს უშლის როგორც მსხვერპლის, ისე მოძალადის სულიერ განვითარებას (სიჯანსაღეს) და სწავლის პროცესს. ცხადია, ყოველივე ეს მოსწავლეთა დისციპლინაზეც უარყოფითად აისახება. თანამედროვე ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ ამას არც მშობლების, მასწავლებლების, მანდატურებისა და პოლიციელების შიში აღმოფხვრის, არც სათვალთვალო კამერების დამონტაჟება საკლასო ოთახებში. შიში აღარ არის პრობლემის მოგვარების თანამედროვე მეთოდი! ის ვერ მოსპობს ადამიანის (განსაკუთრებით ვაჟების) სისხლში ტესტოსტერონის შემცველობას, მას, ცალკეულ შემთხვევებში, მხოლოდ აგრესიული ქცევის სკოლის გარეთ გატანა შეუძლია! გამოსავალი მოზარდების თავისუფალი დროის კონსტრუქციულად გამოყენება, ჭარბი ენერგიის „დახარჯვაა" სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ხელოვნების სექციებში (ცეკვა, გუნდური სიმღერა, თეატრალური დადგმები, ნაკლები თავისუფალი დრო და ა.შ.). მაგრამ ყველაფერი ეს ოჯახების უმეტესობისთვის ძვირი სიამოვნებაა. ამ პრობლემიდან კარგი გამოსავალი იქნებოდა სკოლაში სპორტისა და სახელოვნებო სექციების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სამწუხაროდ, გვავიწყდება, რომ სპორტი, ხელოვნება და ნებისმიერი ასაკის შესაფერი ფიზიკური შრომა მოზარდი თაობის ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვისაა საჭირო. ჩვენ კი ხშირად ამ საგნებში სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ გაკვეთილებს (კვირაში ერთი ან ორი საათი) სხვა საგანს ვუთმობთ (მათემატიკა, უცხო ენა ან სხვა), განსაკუთრებით დაწყებითების პედაგოგები. ეს მე გამოუსწორებელ შეცდომად მიმაჩნია, მით უმეტეს ქალაქის სკოლებში, სადაც ბავშვები „თავისუფალ დროს" მეტწილად ტელევიზორებთან ან კომპიუტერებთან ატარებენ. ხელოვნური საფარით დაფარული მოედნები კი უბნის მოზარდებისთვის ხშირად ხელმიუწვდომელია, რადგან მათ დიდი ბიჭები აკონტროლებენ. მოზარდთა უმრავლესობა ქუჩის ბულინგის შიშით შინ, კომპიუტერთან ან ტელევიზორთან ზის.

## ბულინგი სკოლაში

თანამედროვე მოსწავლეების დასჯა ძველი მეთოდებით მიუღებელია. მოსწავლე, რომელიც არ მეცადინეობს, წესრიგს არღვევს, უზრდელობს, უხეშობს და ა.შ., როგორც წესი, ოჯახში არსებული პრობლემების გამო აკეთებს ამას ან პირიქით, განებივრებულია. პირველ შემთხვევაში, მასწავლებელი მისი დამრიგებელი, მეგობარი უნდა იყოს, თანამგრძნობი, გამგები, გამმხნევებელი, დამაიმედებელი, სწავლის სტიმულის მიმცემი და, ცხადია, დამხმარე, პრობლემისგან თუ მარცხისგან თავის დაღწევის მასწავლებელი. მოსწავლეს მასწავლებლის ნდობის დაკარგვისა უნდა ეშინოდეს. მასწავლებლის კეთილგანწყობამ, ბავშვთან ერთად ყოველი ქცევის გაანალიზებამ, მაგალითების ჩვენებამ, რეალურ სიტუაციებზე დაკვირვებამ ახსნა უნდა მოუძებნოს ამა თუ იმ ქცევას და უკეთესი ვარიანტი შესთავაზოს მოზარდს. მეორე შემთხვევაში, როცა ბავშვი განებივრებულია, მასწავლებელმა აუცილებლად მშობელთან უნდა იქონიოს მუდმივი კავშირი, ინდივიდუალურად ჩაატაროს ახსნა-განმარტებითი საუბრები და აღზრდის სწორ მეთოდებზე კორექტულად უნდა მიუთითოს, ერთად ეძებონ გზები მოზარდის ქცევის დასარეგულირებლად. მათ მიერ ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები. მასწავლებელმა უნდა შეძლოს და ბავშვი გარე ფაქტორების არასწორი ზემოქმედებისგან დაიფაროს.



## თანამედროვე განათლების სისტემა – ტექნოლოგიები, სტრატეგიები და მიდგომები

უცხოელ ფსიქოლოგებს თანამედროვე განათლების სისტემის ნაკლად მიაჩნიათ ის, რომ სკოლა მოსწავლეებს აზროვნებას კი არ ასწავლის, არამედ მეცნიერების ნააზრევის დასწავლას აიძულებს, რითაც ხელს უწყობს „შაბლონური აზროვნების" დანერგვას. სკოლამ მოზარდს უნდა ასწავლოს კითხვაზე პასუხის მოძებნა, პრობლემის გადაჭრის მეთოდის დამოუკიდებლად მიგნება-პოვნა-გაანალიზება და დასკვნების გამოტანა, განავითაროს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარი, რაც აზროვნების არსებითი ნიშანია. ეს მათ არსებულის გაუმჯობესების მეთოდების პოვნაში დაეხმარება, რაც სწავლა-განათლების უმთავრესი ამოცანაა.

ჩემთვის მნიშვნელოვანია საკლასო ოთახში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რადგან მოსწავლეთა მოტივაცია, ინტერესი და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა იზრდება. ისინი ხალისით ერთვებიან მუშაობაში, ხშირად თვითონვე არიან ინიციატორები, მოიძიონ საინტერესო რესურსი, მოამზადონ პრეზენტაცია და პროექტორის საშუალებით წარადგინონ კლასის წინაშე. ამის შედეგად შედარებით პასიურ მოსწავლესაც მსგავს აქტივობაში მონაწილეობისა და კლასის წინაშე თავის გამოჩენის სურვილი უჩნდება. ვცდილობ, წავახალისო მსგავსი ინიციატივა და მოსწავლეებს მოტივაცია ავუმაღლო. არის შემთხვევები, როცა მათ უჭირთ საკუთარი მოსაზრებების აუდიტორიის წინაშე გადმოცემა. პრეზენტაცია აჩვევს და უვითარებს მათ საკუთარი აზრის გამოხატვის, მსჯელობისა და ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენის უნარს.

## პროფესიული განვითარება

პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ჩემი მთავარი მიზანი და პირდაპირი მოვალეობაა. ვმონაწილეობ სხვადასხვა ტრენინგებში, ვორქშოპებში, კონფერენციებში. მასწავლებელთა უმეტესობა ჩართულია პროფესიული განვითარების პროცესში, გეგმავს და ატარებს შიდა და სამოდელო გაკვეთილებს, იჩენს სხვადასხვა ინიციატივას და გეგმავს სახალისო აქტივობებს, ეს გაკვეთილები მასწავლებლებს ეხმარება იმაში, რომ ყოველდღიური საგაკვეთილო პროცესი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზოგჯერ გაკვეთილი ერთფეროვანი და მოსაწყენიცაა. მიმდინარეობს მხოლოდ ლექციური, კითხვა-პასუხის და შინაარსის გადმოცემის მეთოდით. მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ ჩვენს პედაგოგს ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარი ნაკლებად აქვს ან არ უნდა განვითარება, აქვე დავამატებ, რომ ამ შემთხვევაში, პედაგოგის ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია რამდენად სურს მასწავლებელს განვითარება. ცხადია, თვითგანვითარების სტიმულის მიმცემი ადეკვატური ხელფასებიცაა.

## სასკოლო სახელმძღვანელოები

ჩემი აზრით, სახელმძღვანელოები აკმაყოფილებს თანამედროვე მასწავლებლისა და მოსწავლის მოთხოვნებს, თუმცა გამარტივება და ცვლილებების შეტანა აუცილებელია, რადგან ტესტური შემოწმების მეთოდი უნდა ჩაანაცვლოს დივერგენტულმა სააზროვნო უნარებმა, გააზრებაზე დაფუძნებულმა სწავლებამ, რომელიც მეტად საინტერესო და შემოქმედებით აზროვნებას განავითარებს. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ სკოლაში შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მივესალმები განათლების სამინისტროს ინიციატივას, რომლის მიხედვითაც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ქართული ენის გრამატიკისათვის გარკვეული საათები იგეგმება.

## ახალი ინიციატივები

ყოველთვის ვცდილობ წავახალისო მოსწავლის ინიციატივა, გაკვეთილზე ვიყო ფასილიტატორი და მოსწავლე იყოს წამყვანი ფიგურა, საჭიროების შემთხვევაში კი, ვიყო მისი დამხმარე. ანგარიშს ვუწევ მოსწავლის აზრსა და ინიციატივას, რადგან მიმაჩნია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია. არსებობს გამონათქვამი: *„თუ ბედავ სწავლებას, თავადაც არასოდეს შეწყვიტო სწავლა".* ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ სიახლეების მიღება-დანერგვის პროცესს. პირადად მე, მზად ვარ სიახლეების მისაღებად, თუ გონივრულია და შედეგზე გაგვიყვანს. ამის ნათელი მაგალითია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სქემა, რომელიც პედაგოგს საშუალებას აძლევს, განავითაროს შესაძლებლობები. სქემასთან დაკავშირებით მუდმივადაა დავა, რომ არ გაამართლა, არაა ეფექტური, რასაც ვერ დავეთანხმები, თუნდაც იმიტომ, რომ სქემა აძლევს მოსწავლეს შანსს, იყოს რიგით პირველი საგაკვეთილო პროცესში.

## თავისუფალი დრო და მომავლის გეგმები

ვფიქრობ, მასწავლებელს თავისუფალი დრო ნაკლებად აქვს, მათ შორის მეც. ჩვენი ყოველწუთიერი ფიქრი, გვინდა თუ არ გვინდა, მოსწავლეებს დასტრიალებს. იშვიათად მრჩება თავისუფალი დრო, თუმცა, თუკი ამის საშუალება მაქვს, სიამოვნებით ვკითხულობ წიგნებს. სამომავლოდ ვგეგმავ პროფესიულ ზრდას და დავიწყე კიდეც ამ კუთხით მუშაობა.

**მოამზადა მაკა ყიფიანმა**

სკოლამდელი განათლება

# გამოწვევები, რომლებიც კანონის და ახალი სახელმწიფო სტანდარტების განხორციელებას აფერხებს

ლალი ჯელაძე

**გაეროს ბავშვთა ფონდმა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, სკოლამდელი განათლების საერთაშორისო ექსპერტების ხელმძღვანელობით, დაასრულეს საქართველოში სკოლამდელი განათლების პროგრამების ხარისხის შეფასება, რომლის მიზანი იმ ძირითადი გამოწვევების გამოვლენაა, რომლის წინაშეც დგანან სკოლამდელი დაწესებულებები და აღმზრდელები ახალი სტანდარტების, მათ შორის პროფესიული სტანდარტების პირობებში. კვლევაში ჩართული იყო ყველა მუნიციპალიტეტი (64) და 22 ფოკუსჯგუფი, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში, სულ, 124 მონაწილე გამოიკითხა, მათ შორის, სკოლამდელი დაწესებულებების მენეჯერები, აღმზრდელები, სპეციალური პედაგოგები, ფსიქოლოგები, მეთოდისტები, მშობლები, ლექტორები. ადრეული განათლებისა და ზრუნვის სერვისების ხარისხი ხუთი მიმართულებით შეფასდა: ხელმისაწვდომობა, პერსონალი, კურიკულუმი (საგანმანათლებლო პროგრამა), მონიტორინგი და მართვა.**



კვლევაში აღიარებულია, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მიღება და ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის. თუმცა, გამოვლინდა გამოწვევები, რომლებიც აფერხებს კანონის და ახალი სახელმწიფო სტანდარტების განხორციელებას:

• საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი (69,5%) ევროპულ სამიზნე ნიშნულზე (4-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა 95%) დაბალია. ჩარიცხვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებში (33%), სოციალურად დაუცველ ბავშვებში (39,7%) და სოფლად (46,8%).

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებებში ჩარიცხვის შემთხვევაში არსებული ბარიერები, ძირითადად, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, გადატვირთული ჯგუფები, აღმზრდელთა დაბალი კომპეტენცია და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ არსებული სოციალური სტიგმაა.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებებში ჩარიცხვის შემთხვევაში, საბავშვო ბაღში სრული ინკლუზიისა და მონაწილეობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ჩარიცხვის მაჩვენებლები მაღალია, დიდია ბავშვების რაოდენობა თითო ჯგუფში, მაგალითად, თბილისში თითო ჯგუფზე, საშუალოდ, 39 ბავშვი მოდის, ზოგიერთ ჯგუფში კი 60-მდე აღსაზრდელია. ჯგუფში ბავშვების სიმრავლე კი მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. ამდენად, ხარისხისა და პერსონალისთვის სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, ქალაქად, თითოეულ ჯგუფში ბავშვების რაოდენობის შესამცირებლად, მეტი ჯგუფისა და აღმზრდელის საჭიროება გამოიკვეთა.

57 მუნიციპალიტეტიდან მოპოვებული მონაცემების თანახმად, აღმზრდელთა 45% არაკვალიფიციურია. სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალის უმრავლესობას ტრენინგი არ გაუვლია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. საქართველოში სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულ აღმზრდელთა სოციალური სტატუსი დაბალია. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის, მათ შორის დირექტორების, ხელფასი ძალიან დაბალია.

ფოკუს ჯგუფებმა გამოავლინა, რომ სტანდარტები და შესაბამისი რესურსები სკოლამდელი განათლების მუნიციპალური სამსახურებისთვის, მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, ხელმისაწვდომია. თუმცა, ზოგიერთი მათგანი არ ფლობს ინფორმაციას სტანდარტებისა და დამხმარე რესურსების შესახებ. ყურადსაღებია ისიც, რომ მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერსონალი არ იცნობს სტანდარტებს და არ მიუწვდება ხელი დამხმარე რესურსებზე. გარდა ამისა, ხშირად, საბავშვო ბაღების ყველა თანამშრომელმა არ იცის ახალი სტანდარტების შესახებ (მაგალითად, სპეცპედაგოგები, ფსიქოლოგები) და არც მშობლები იცნობენ იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლითაც სკოლამდელი დაწესებულებები მუშაობენ. ამასთან, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ის პრაქტიკოსები, რომლებიც აცხადებენ, რომ სტანდარტებს იყენებენ, სრულად არ იცნობენ მის შინაარსსა და პრინციპებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, შესაბამისად, სტანდარტების დასანერგად, აუცილებელია შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებების გატარება. საბავშვო ბაღების თანამშრომლებს რესურსებით მდიდარი გარემო სჭირდებათ, რაც სტანდარტებისა და კურიკულუმის განსახორციელებლად ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად მიაჩნიათ. ზოგიერთი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების დირექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ აღმზრდელებს, უფრო ხშირად, ტექნიკური მიდგომა აქვთ სტანდარტებისა და კურიკულუმის დანერგვის მიმართ.

ერთ-ერთი გამოწვევაა, ასევე, სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულ აღმზრდელთა დაბალი სოციალური სტატუსი და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის, მათ შორის დირექტორების, ძალიან დაბალი ხელფასები. სრულ განაკვეთზე დასაქმებული აღმზრდელის საშუალო ყოველთვიური ხელფასი 336 ლარს შეადგენს, რაც თითქმის სამჯერ ნაკლებია საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის საშუალო ყოველთვიურ შემოსავალზე (940 ლარი). რაც მთავარია, ხელფასის ზრდის სისტემაც არ არსებობს.

კვლევაში წარმოდგენილია საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციები, როგორიცაა სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილების ზრდა და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სკოლამდელი განათლების სისტემაში ჩარიცხვის საკითხზე. აუცილებელია ჯგუფში ბავშვების რაოდენობის შემცირება და პერსონალისთვის, მათ შორის დირექტორებისთვის სატრენინგო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების შემუშავება. სახელმწიფო დონეზე უნდა დაინერგოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მონიტორინგის სისტემა.

კვლევა იძლევა რეკომენდაციას, რომ სასწრაფოდ შეიქმნას სკოლამდელი განათლების სფეროში ახალი პროგრამები უმაღლესი განათლების დონეზე და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი ეყრდნობოდეს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2017 წელს დაამტკიცა. პროგრამები ხელს უნდა უწყობდეს თეორიასა და პრაქტიკას შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებას და აქცენტს აკეთებდეს ბავშვზე ორიენტირებულ სწავლებასა (ექსპერიმენტული ან ბუნებრივი სწავლა) და მრავალფეროვნების კონტექსტში მუშაობაზე. საუნივერსიტეტო განათლება და შემდგომი ტრენინგები ყურადღებას უნდა ამახვილებდეს რეფლექსიური კომპეტენციების შეძენაზე.

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი საუნივერსიტეტო განათლების და შემდგომი პროფესიული განვითარების რეფორმის საფუძველი უნდა გახდეს. უნივერსიტეტები და ტრენინგის მიმწოდებელი ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ სტანდარტის საფუძველზე საგანმანათლებლო/ტრენინგ პროფილის (პროგრამები, შესაბამისი მოდულები და ა.შ.) შემუშავებაში. ასევე, მნიშვნელოვანია დირექტორთა სატრენინგო პროგრამის შექმნა, რადგან ეფექტიანი ხელმძღვანელობა მიიჩნევა *„უმნიშვნელოვანეს ფაქტორად საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებაში, მისწრაფებების გაზრდასა და ბავშვებისთვის, მშობლებისა და პერსონალისთვის მხარდაჭერის გაწევაში“.*

აღმზრდელებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ახალი ეროვნული სტანდარტების საფუძველზე, აუცილებელია გადამზადებისთვის საჭირო დამხმარე რესურსების შემუშავება: ვიდეოფილმები იმ სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული პრაქტიკის მაგალითებით, რომლებიც უკვე იყენებენ სტანდარტებს; ბროშურები, ვებგვერდები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა შესრულდეს სტანდარტი პრაქტიკაში. ამ მასალებზე მსჯელობა, კოლეგებთან და ექსპერტებთან ერთად, შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან შთაგონების წყაროდ. ამასთან, შესაძლებელია ქართულ ენაზე ითარგმნოს უკვე არსებული ვიდეოფილმები და ბროშურები თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების შესახებ. სტანდარტები და დამხმარე რესურსები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველასთვის, ვინც ჩართულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაში (მათ შორის, დამხმარე პერსონალი: თანაშემწეები, სპეცპედაგოგები, ფსიქოლოგები და სხვა, აგრეთვე, მშობლები) საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებულ სკოლამდელ დაწესებულებებში, სოფლებსა და მაღალმთიან რაიონებში.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია სკოლამდელი განათლების სფეროში, ბაკალავრიატის დონეზე, სპეციალიზებული მომზადების ნაკლებობასა და კონკრეტული კურიკულუმების შესახებ ტრენინგების არარსებობაზე. *„აღმზრდელები, ყურადღებას უმეტესწილად იმ კონკრეტული აქტივობების „ბრმად“ განხორციელებაზე ამახვილებენ, რომლებიც მაგალითების სახით არის შემოთავაზებული დამხმარე სახელმძღვანელოებში და არ აქვთ გაცნობიერებული ის პედაგოგიური მიდგომები, რომლებსაც საგანმანათლებლო სტანდარტები და კურიკულუმი ეფუძნება. საგანმანათლებლო მასალების კვლევამ გვიჩვენა, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვის განვითარებისა და სწავლის ხელშემწყობი რესურსების სიმწირეა. ზოგიერთ შემთხვევაში, ამგვარი რესურსების მოტანის პასუხისმგებლობა მშობლებს ეკისრებათ, ზოგჯერ კი, აღმზრდელი მათ საკუთარი ფულით იძენს, რადგან სათამაშოებისთვის, ხარჯვადი რესურსებისთვის (როგორიცაა ფანქრები, ქაღალდი და სხვ.), წიგნებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალისთვის ბიუჯეტი თითქმის არ არსებობს. ამ რესურსებიდან თითო ბავშვზე, ყოველწლიურად, მინიმალური თანხა იხარჯება: 56 მუნიციპალიტეტიდან მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტების 62.5% 10 ლარზე ნაკლებს ხარჯავს თითო ბავშვზე, ყოველ წელს, საგანმანათლებლო რესურსებზე (ზოგიერთი მათგანი მხოლოდ 0.73 და 1.11 ლარს).“* – ნათქვამია კვლევაში.

ნათქვამია ისიც, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ბავშვზე ინდივიდუალურ დონეზე დაკვირვება და დოკუმენტირება გავრცელებული პრაქტიკაა, თუმცა ყველა აღმზრდელი არ არის ინფორმირებული ჩანაწერების გაკეთების აუცილებლობის შესახებ და ის აღმზრდელებიც, რომლებიც ამას აკეთებენ, გარკვეულწილად, სკეპტიკურად არიან განწყობილი. მიაჩნიათ, რომ ეს დამატებითი საკანცელარიო სამუშაოა, წმინდად ფორმალური საქმიანობა და არა მათი მუშაობის, შესაბამისად, პედაგოგიური საქმიანობის ხარისხის ხელშემწყობი ინსტრუმენტი. ზოგჯერ, სამუშაო პირობები ართულებს ინდივიდუალური შეფასების სისტემის თანმიმდევრულ გამოყენებას (მაგალითად, გადატვირთული ჯგუფები). ამასთან, ფოკუს ჯგუფებმა გამოავლინა, რომ მშობლები ყოველთვის არ მონაწილეობენ და არ არიან ინფორმირებული თავიანთი შვილების პროგრესისა და საჭიროებების შესახებ. ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების კერძო დაწესებულებებს არ ეკისრებათ ხარისხის მონიტორინგის ვალდებულება და ეს ხელმძღვანელთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამასთან, რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, არ არსებობს სისტემური მონიტორინგი და შეფასება. ბავშვების პროგრესის მონიტორინგი არ მიმდინარეობს იმ რეგიონებში, სადაც კვალიფიციური კადრები პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვება და დოკუმენტირება მეტ-ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკაა, თვითშეფასებაზე ამას ვერ ვიტყოდით. მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მხოლოდ 43.5%-მა განაცხადა, რომ ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურებები მიმართავენ თვითშეფასებას. მხოლოდ ექვს მუნიციპალიტეტში განაცხადეს, რომ ბავშვთა ადრეული აღზრდისა და განათლების პერსონალი სისტემატურად განიხილავს თავის პროფესიულ საქმიანობას. ხშირად, საბავშვო ბაღებს არც უფლებამოსილება აქვთ და არც რესურსები საიმისოდ, რომ შეასრულონ რეკომენდაციები ან გადაჭრან პრობლემები, ამიტომ კონტროლი და მონიტორინგი ფორმალობად მიიჩნევა, როგორც ბიუროკრატიული და ზედაპირული სისტემა, რომელიც მათ რეალურად არ ეხმარება განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებაში.

*„ადრეული აღზრდისა და განათლების ხარისხიანმა სისტემამ შესაძლოა გამოიღოს მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი, რომელიც შემდგომ წლებზეც აისახება.“* – კვლევის ეს მნიშვნელოვანი გზავნილი გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნებშიც (მიზანი 4.2) აისახა, რომელიც 2030 წლისთვის ითვალისწინებს, რომ *„ყველა გოგოსა და ბიჭს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან ადრეულ განვითარებაზე, ზრუნვასა და სკოლამდელ განათლებაზე ისე, რომ ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისთვის“* და მოუწოდებს ქვეყნებს, სკოლაში ჩარიცხვამდე, სულ მცირე, ერთწლიანი სკოლამდელი განათლება უზრუნველყონ.

ინფორმაცია

# ინტერესთა კონფლიქტი – დაირღვა თუ არა კანონი



25 ივნისიდან გამომცემლები, სახელმძღვანელოების ავტორები, მასწავლებლები და საზოგადოების დიდი ნაწილი, გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის მოლოდინშია. ნუსხის გამოქვეყნებას სააპელაციო პროცესმა შეუშალა ხელი, პარალელურად, მედიაში გავრცელდა გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელის განცხადება, რომ მათი სახელმძღვანელოს შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია განათლების მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურის დისთვის გახდა ხელმისაწვდომი. მათივე ინფორმაციით, არსებობს დოკუმენტი, სადაც წერია, რომ განათლების მინისტრის მოადგილის და იმ სახელმძღვანელოს თანაავტორია, რომელსაც გრიფს სამინისტრო ანიჭებს. ეს კი ინტერესთა კონფლიქტს ქმნის და კანონით აკრძალულია.

„დიოგენეს“ მიერ წარდგენილ სახელმძღვანელოს 4 ავტორი ჰყავს. ერთ-ერთი ავტორი, ვიდრე „დიოგენეს“ ავტორთა ჯგუფს შემოუერთდებოდა, კონკურენტი ჯგუფის წევრი იყო. ის ჯგუფი სახელმძღვანელოზე გუგლ დრაივის გამოყენებით მუშაობდა – ონლაინ, რამდენიმე ადამიანი პარალელურად წერდა სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილს და საკუთარ ნამუშევარს გუგლ დრაივზე ტვირთავდა. სწორედ ამ ჯგუფის წევრი იყო „დიოგენეს“ ახლანდელი ავტორი 2017 წლის ზაფხულამდე. აგვისტოში ის ავტორთა ჯგუფიდან წამოვიდა, გუგლ დრაივზე წვდომა კი ისევ დარჩა. მან აღმოაჩინა, რომ ატვირთული იყო 2 ფაილი, რომელშიც „დიოგენეს“ სახელმძღვანელოების შეფასებები ეწერა. ფაილების ატვირთვის თარიღი 2017 წლის დეკემბერი და 2018 წლის იანვარი იყო – დრო, როცა „დიოგენეს“ სახელმძღვანელო და მისი შენიშვნები, კანონით, მხოლოდ განათლების სამინისტროსთვის იყო ცნობილი და ხელმისაწვდომი.

გამომცემლობამ ამ ფაქტზე აღსრულების ბიუროს მიმართა. აღსრულების ბიურომ კი შეადგინა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ „დიოგენეს“ სახელმძღვანელოს შესახებ მომზადებული შენიშვნები მისი კონკურენტის გუგლ დრაივზეა ატვირთული.

გარდა ამისა, აღსრულების ბიუროს დადასტურებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ გუგლ დრაივის ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ჯგუფში პერიოდულად ფაილებს ტვირთავს, ლალი გიგაურია, განათლების მინისტრის მოადგილის და. აღსრულების ბიურომ დრაივზე საინტერესო ფაილიც აღმოაჩინა – შეთანხმება, რომელშიც წერია, რომ ლალი გიგაური განათლების სამინისტროში წარდგენილი ისტ-ის სახელმძღვანელოს სრულუფლებიანი თანაავტორია. იმავე შეთანხმებაში წერია, რომ გიგაური, როგორც ავტორი, წიგნზე მხოლოდ მას შემდეგ დაეწერება, რაც ამის იურიდიული უფლება ექნება.

დიოგენეში ეჭვობენ, რომ, იმავდროულად, განათლების მინისტრის მოადგილის და რეცენზენტიც იყო და მონაწილეობდა „დიოგენეს“ წიგნის რეცენზირების პროცესში. ლალი გიგაურმა, ჟურნალისტთან საუბრისას, ეს ფაქტი უარყო.

3 ივლისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, თეიმურაზ მურღულიამ, საგანგებო ბრიფინგზე, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთა ცალკეული ჯგუფების მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა.

მან აღნიშნა, რომ ბოლო დღეებში საჯარო სივრცეში გავრცელებული რამდენიმე გამომცემლობის ურთიერთდაპირისპირებული პრეტენზიები კონკრეტული სახელმძღვანელოს – ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სახელმძღვანელოს ირგვლივ ჩრდილს აყენებს მთლიანად გრიფირების პროცესს, შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საჭიროდ ჩათვალა საზოგადოებას განუმარტოს პროცესთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

*„პირველი, გრიფირების პროცესი ორგანიზებულია იმ ფორმით, რომ შეუძლებელია ერთ ან რამდენიმე ადამიანს ჰქონდეს გავლენა შეფასების პროცესზე. 180 პედაგოგი აფასებს ამ სახელმძღვანელოებს, ჯგუფში 5 ადამიანია და ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ 5 ადამიანი, ერთდროულად, არის წინააღმდეგი ან მომხრე რომელიმე სახელმძღვანელოსი, ჩვენი აზრით, არარელევანტურია. სახელმძღვანელოების ყველა განხილვა, რომელიც ჩატარდა, ჩაწერილია და აპელაციის პროცესში ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დავის პროცესში, შესაძლებელია ამ ჩანაწერების გამოთხოვა და ამა თუ იმ მხარის სიმართლის დამტკიცება. ასევე სისტემა დაცულია, ძალიან მაღალი სტანდარტით, ნებისმიერი გარე შეღწევისგან. ერთადერთი პრეტენზია, რომელიც შეიძლება არსებობდეს, მხოლოდ ის არის, თუ კონკრეტულმა პედაგოგმა სხვა პირებს გაუზიარა, რაიმე ფორმით, ინფორმაცია, თუმცა ესეც ვერ ახდენს გავლენას შეფასებებზე.*

*მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი – ჩვენთვის ფრიად აქტუალურია პრეტენზია, რომელიც გამომცემლობა „დიოგენემ“ წარმოადგინა. ჩვენ მივიღეთ ვიდეოჩანაწერი, სააპელაციო კომისიამ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, გადააგზავნოს დამატებითი ექსპერტიზისთვის. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ვიდეოჩანაწერში ფიქსირდება რაიმე ფაქტები. ჩვენი ამოცანაა, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, სამინისტროს მიღმა, დამოუკიდებელ სივრცეში მოხდეს ამ მონაცემების შემოწმება და დადასტურდეს ან უარყოფილ იქნეს. თუმცა, პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ შეუძლებელია ასეთი რამის დადასტურება.*

*და მესამე, რაც ყველას კარგად უნდა ესმოდეს – პირველი დღიდან, როდესაც ჩვენ გამოვაცხადეთ გრიფირება, ნათელი იყო, რომ ყველა გრიფირების პროცესში ვერ გაიმარჯვებდა. ჩვენი ამოცანაა ხარისხი, საუკეთესო სახელმძღვანელოების მიწოდება მოსწავლეებისთვის. ამიტომ, იქნებიან გამარჯვებულები და იქნებიან ისინი, ვინც გრიფირება ვერ გაიარა, ან გაიარა, მაგრამ სახელმძღვანელო სახელმწიფოს მიერ საჯარო სკოლებში შესატანად შერჩეული არ იქნა. ამიტომ, ბუნებრივია, გამორიცხული არ არის ის ფაქტიც, რომ იქნება უკმაყოფილება.*

*კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენ დეტალურად დოკუმენტირებული გვაქვს ყველა განხილვის პროცესი, სისტემაში შენახულია ყველა იტერაცია შეფასებების, ამიტომ, ბუნებრივია, მზად ვართ, პასუხი გავცეთ ყველა კითხვას, მწვავე შეკითხვებსაც, მათ შორის უკმაყოფილებას იმ ადამიანების და იმ გამომცემლობების მხრიდან, ვინც გრიფირების ბარიერს ვერ გადალახავს.“*

ბრიფინგის შემდეგ, საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ გრიფირების პროცესი გარკვეული დროით შეჩერდება. ამასთან დაკავშირებით 4 ივლისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნატქვამი იყო, რომ ახალ სასწავლო წელს I-VI კლასის მოსწავლეები ახალი, გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებით ისწავლიან და ამ მიმართულებით რაიმე შეფერხება არ არსებობს.

*„გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს გრიფირების პროცესი გაურკვეველი ვადით შეჩერდა, არ შეესაბამება სიმართლეს. ამ ეტაპზე, გრიფირების პროცესი ფაქტობრივად დასრულებულია, გამოცხადებულია ბეჭდვის ტენდერი და ამოცანა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის I-VI კლასის მოსწავლეებს ახალი სახელმძღვანელოები ჰქონდეთ, კვლავ ძალაშია.*

*რაც შეეხება „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ მე-5 და მე-6 კლასების სახელმძღვანელოებს, ერთ-ერთი გამომცემლის საპრეტენზიო განაცხადის გამო, ამ კონკრეტული სახელმძღვანელოების განხილვის პროცესი შეჩერებულია ექსპერტიზის დასრულებამდე.*

*შესაბამისად, სამინისტრო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ახალი სასწავლო წლიდან I-VI კლასის მოსწავლეები გრიფირებული სახელმძღვანელოებით ისწავლიან.“*

დაველოდოთ ექსპერტიზის შედეგებს, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ნათელი, დაირღვა თუ არა კანონი ისტ-ის სახელმძღვანელოს შემთხვევაში. ამ კონკრეტული სახელმძღვანელოს ირგვლივ მიმდინარე პროცესებს, მეტნაკლებად მოეფინა ნათელი, მაგრამ გაუგებარი რჩება, რატომ იგვიანებს გრიფირებული სახელმძღვანელოების მთლიანი ნუსხა

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

# ზოგადი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები ძალაში შევიდა




შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლებში უსაფრთხოების გაძლიერების და მოზარდთა შორის სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით მომზადებული კანონპროექტი ძალაში შევიდა.

ცვლილებების მიზანია, მანდატურის საქმიანობის დამოუკიდებლობის გაზრდის გზით, სკოლებში მომხდარ ინციდენტებზე სათანადო რეაგირების უზრუნველყოფა.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სკოლების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟდება ვიდეოკამერები, ასევე, შეიცვალა მანდატურთა დანიშვნის წესი. მანდატურს დანიშნავს და გაათავისუფლებს არა სკოლის დირექტორი, არამედ მანდატურის სამსახურის უფროსი.

მანდატურის კანდიდატის მიმართ განისაზღვრა ახალი მოთხოვნებიც: სრული ზოგადი განათლების ნაცვლად, მანდატურის პოზიციას მხოლოდ სრული ზოგადი და პროფესიული ან უმაღლესი განათლების მქონე პირები დაიკავებენ. მათ მოსამზადებელ კურსებს განათლების მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ერთობლივად დაამტკიცებენ. კურსები, სწავლების სხვა კომპონენტებთან ერთად, ფიზიკურ მომზადებასაც მოიცავს.

დამატებითი ფუნქციები შეიძინა მანდატურის სამსახურმაც, კერძოდ: სკოლებში მოსწავლეთა შორის კონფლიქტების განეიტრალების, სკოლის გარეთ კონფლიქტის გაგრძელების პრევენციის და კანონსაწინააღმდეგო ნივთების აღმოჩენის მიზნით, მანდატურს მეტალოდეტექტორის გამოყენებით მოსწავლის ზედაპირული დათვალიერების უფლება ექნება; მოსწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, რისკების შემცირებისა და მოსწავლის ქცევის მართვის მიზნით, მანდატური უფლებამოსილი იქნება, მოახდინოს მოსწავლეთა განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში, სკოლის წარმომადგენლის თანდასწრებით; მოსწავლის განცალკევება განხორციელდება სკოლაში მშობლის გამოცხადებამდე, მოსწავლის უმეთვალყურეოდ დატოვების თავიდან ასაცილებლად; განცალკევების დროს უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლის ჩართულობა სხვადასხვა სასკოლო აქტივობაში.

მოზარდა შორის კონფლიქტების პრევენცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნით, ცვლილებები „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში პოლიციასა და მანდატურის სამსახურს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

პრევენციაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ სკოლებთან ურთიერთობას, მოზარდთა შორის დანაშაულის პრევენციას, დანაშაულის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ამ მიზნით, მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობას დაეთმობა.

პედაგოგთა დასახმარებლად

# ჯგუფური მუშაობა და რეფლექსია

ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა უდავოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე განვითარების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის, ფაქტობრივი ინფორმაციის დაგროვებაა, არამედ მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებაც.

კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებისათვის კი მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, იაზროვნონ, ილაპარაკონ და ჰყავდეთ მსმენელი. ამისათვის მხოლოდ მასწავლებელთან საუბარი საკმარისი არ არის. მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება მხოლოდ ისეთ სასწავლო გარემოში ყალიბდება, სადაც ხშირია ინტენსიური სტრუქტურირებული ურთიერთობა მოსწავლეთა შორის. სწორედ ამ მიზანს ისახავს ჯგუფური მუშაობა. ერთობლივად სწავლა არა მარტო იოლი და საინტერესოა, მნიშვნელოვნად ეფექტიანიცაა. ეს ეფექტიანობა ეხება როგორც აკადემიურ წარმატებებსა და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე ზნეობრივ ზრდას.

ჯგუფურ მეცადინეობას სკოლაში განვიხილავთ, როგორც კოლექტიურ, ინტელექტუალურ მუშაობას, რაც ბავშვის გონების განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. ურთიერთობათა თვალსაზრისით, ჯგუფური მეცადინეობის დანიშნულება ის კი არაა, რომ ჯგუფი ემორჩილებოდეს მასწავლებელს, არამედ ის, რომ ჯგუფის თითოეული მოსწავლე თავს კომფორტულად გრძნობდეს, მაქსიმალურ შედეგებს აღწევდეს და ამხანაგებთან, მასწავლებელთან თანამშრომლობდეს.

პედაგოგის მიერ ორგანიზებულ მეცადინეობას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როცა მოსწავლეთა პიროვნული განვითარება ხდება. ჯგუფური მუშაობა მისი თითოეული წევრის განვითარებას უზრუნველყოფს. ყველა საჭირო შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იზრდება მოსწავლეების მხრიდან ამხანაგების დახმარება. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დამხმარე მოსწავლე, სუსტთან შედარებით, არანაკლებ სარგებელს იღებს, ვინაიდან მისი ცოდნა კონკრეტდება, აქტიურდება, მტკიცდება თანაკლასელებისათვის ახსნის პროცესში.

ჯგუფური მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად პედაგოგი კლასს კარგად უნდა იცნობდეს. პირველ რიგში, წინასწარ დაგეგმვა და მომზადებაა საჭირო. მართალია, ამგვარი მუშაობა მასწავლებლისგან დამატებით დროს მოითხოვს, სამაგიეროდ, პედაგოგიური ეფექტი საკმაოდ მაღალია. ჯგუფური მუშაობის გამოყენება შეიძლება როგორც ახალი მასალის გადაცემის დროს, ისე შესწავლილი მასალის შემოწმებისა და შეფასებისას. მთავარია, მასწავლებელს არ აერიოს, რომ ჯგუფური მუშაობა მიზანი კი არ არის, ქმედითი საშუალებაა, გაკვეთილის მიზნის მისაღწევად და დასახული ამოცანის გადასაჭრელად.

ჯგუფური მუშაობის უპირატესობა ისაა, რომ თითოეულ მოსწავლეს ეძლევა აზროვნების, საუბრის და მოქმედების შესაძლებლობა, რადგან სხვა ადამიანის მიერ დასმული, თუნდაც მარტივი, შეკითხვა უკვე წარმოადგენს ძლიერ სტიმულატორს შემეცნებითი და აზროვნებითი პროცესების გააქტიურებისთვის. აქედან გამომდინარე, ჯგუფი წარმოადგენს იმ მინიმალურ ერთეულს, რომელზეც აიგება მომავალი სასწავლო თანამშრომლობა. მასწავლებელი ვალდებულია, დაეხმაროს მოსწავლეებს საქმის ორგანიზებაში.

მოსწავლის ორგანიზება | უშუალო მუშაობა ჯგუფებში | ეფექტურობისა და ურთიერთქმედების რეფლექსია

ამის მიხედვით, მასწავლებელს, როგორც ჯგუფური მუშაობის ორგანიზატორს, მოუწევს შემდეგი როლების შესრულება:

1. ჯგუფებისთვის სამუშაო მიმართულების განსაზღვრა;
2. სამუშაო პროცედურული კონტროლი;
3. ოპონირება;
4. რეფლექსია.

ყველაზე მარტივად ამის წარმოსახვა შესაძლებელია მაშინ, როდესაც ჯგუფური მუშაობის დაგეგმვისას, მასწავლებელი რამდენიმე შეკითხვას პასუხობს:

1. რისთვის მჭირდება ეს სამუშაო?
2. რა ადგილს იკავებს იგი მოცემული თემისა თუ გაკვეთილის შესწავლაში?
3. რა შედეგი მინდა მივიღო?

ამის შემდეგ მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის შესაფერის ფორმას ირჩევს.

**ჯგუფური მუშაობის ეტაპები:**

I ეტაპი
მოსამზადებელი ეტაპი

II ეტაპი
ჯგუფური მუშაობის სახეობის შერჩევა

III ეტაპი
ჯგუფური მუშაობის რეფლექსია

ფორმის განსაზღვრის შემდეგ პრაქტიკული მოქმედების დრო დგება. იწყება ჯგუფებში მუშაობა. ჯგუფური მუშაობა გარკვეულ ტექნოლოგიურ თავისებურებებს მოიცავს: მასწავლებლის მხრივ – განხილვას, ერთობლივ და ინდივიდუალურ სწავლას, ვარჯიშს; მოსწავლეთა მხრივ – მასში შედის მოსწავლის პოზიციის განსაზღვრა დიალოგში მონაწილე მოსწავლეებისთვის და, ზოგადად, ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეთათვის თანაბარუფლებიანი პოზიციების უზრუნველყოფა, მუშაობისას მასწავლებლისა და მოსწავლის პოზიციების რიგრიგობითი ცვლა. ჯგუფური მუშაობის აუცილებელი ნაწილია რეფლექსია.

ტერმინი „რეფლექსია“ (რეფლექსირება) ნიშნავს საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზს, ფიქრს საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, როდესაც დაკვირვება მიმართულია ცნობიერების შინაგან მოქმედებაზე. მოკლედ, პედაგოგიური რეფლექსია შეიძლება განიმარტოს, როგორც საკუთარი ქცევის, ამ შემთხვევაში, სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის გააზრება.

როგორ გამოვიწვიოთ რეფლექსია? უფროს ადამიანს არ შეუძლია გიპასუხოთ, აგიხსნათ, როგორ ახდენს რეფლექსირებას იმ პერიოდში, როდესაც ბავშვის ქმედება ჯერ კიდევ არაა გააზრებული, არაა დამოუკიდებელი. გაცილებით მომგებიანია, რეფლექსიის პარტნიორი იყოს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ადამიანი, ვიდრე ზრდასრული პიროვნება. აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფურ მუშაობას, რომლის დროსაც მასწავლებლის ჩარევა მინიმალურია.

რეფლექსიამ, შესაძლებელია, ჯგუფური მუშაობის მომზადების და ორგანიზების ფორმატში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. ჯგუფურ სამუშაოს მაშინაც შეიძლება მიმართოს მასწავლებელმა, როდესაც ბავშვები გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებიან. რეფლექსიის ფაზაში ხშირად სწორედ ჯგუფური სამუშაოა სასკოლო თანამშრომლობის საქმიანი და პირადი ურთიერთობის გამოხატვის ეფექტური საშუალება.

ამრიგად, გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი შემდეგი კითხვების მეშვეობით აანალიზებს გაკვეთილის მსვლელობას და ატარებს რეფლექსიას:

1. თავიდან გავიაზროთ ყველაფერი, რაც დღეს გავაკეთეთ. რითი დავიწყეთ ჩვენი დღევანდელი მეცადინეობა?
2. შემდეგ რა გავაკეთეთ? (გავყავით 6 ოთხკაციან ჯგუფებად)
3. რა გაკეთდა შემდეგ ეტაპზე?
4. რას განიცდიდით ამგვარი მუშაობის შესრულებისას?
5. რა გავლენა იქონია მოცემული ტექსტის შესწავლაზე ასეთმა მუშაობამ? (საკითხს ჩავუღრმავდით... ერთობლივად გავაანალიზეთ... კითხვები დაგვებადა... ადვილად დავიმახსოვრეთ...)
6. რა მოხდა შემდეგ ეტაპზე? (პრეზენტაცია თითოეული ჯგუფიდან)
7. პრეზენტაციის შემდეგ რა გავაკეთეთ? (გავმართეთ დისკუსია)
8. როგორი ზეგავლენა მოახდინა თქვენზე დისკუსიამ? (გაგვააქტიურა, დავსვით კითხვები... ბევრ საინტერესო კითხვას გაეცა პასუხი... ვიყავით ყურადღებით...)
9. რა გაკეთდა ბოლო ეტაპზე? (შევაფასოთ ჯგუფები და მოსწავლეები)

ნათელი უნდა იყოს, რომ ყველა თემის ნაწილებად დაყოფა და ამ მეთოდით შესწავლა არ მოხერხდება, არც შემოთავაზებული გაკვეთილის ყველა ასპექტის 45 წუთში ჩატევა იქნება შესაძლებელი. ამიტომ, მასწავლებელმა წინასწარ ისე უნდა დაგეგმოს და დააკონკრეტოს სამუშაო, რომ გაკვეთილის თითოეული ეტაპი დროის მონაკვეთებში გაიაზროს, ზოგ ეტაპს მეტი დრო დაეთმოს, ზოგს – ნაკლები. თუ შესასწავლი თემა ვრცელია, შეიძლება ორი გაკვეთილის განმავლობაში გაგრძელდეს მისი დამუშავება. მთავარია, მასწავლებელი საგნისა და სწავლების მეთოდიკის არსს ჩასწვდეს და სასწავლო პროცესი საკუთარი შეხედულებებისამებრ არეგულიროს.

ნინო ჯალაღონია
*თბილისის კერძო სკოლა „აისის“*
*ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
1. ტრენინგის მასალები.
2. სასწავლო და პროფესიული გარემო, თბ. 2008წ.

## ინფორმაცია

* * *

შვილების მოგონებები მამაზე, სიმღერა, რომელიც ზაქარია ფალიაშვილმა მიუძღვნა უნივერსიტეტის დამაარსებელს, სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან და პირადი წერილები შევიდა წიგნში, რომლის პრეზენტაციაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

წიგნის „მამა“ პრეზენტაციას თსუ-ს რექტორი, გიორგი შარვაშიძე, სენაკისა და ჩხოროწყუს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიტროპოლიტი, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, მეუფე შიო, თსუ-ს პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

მეუფე შიომ უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა მისი პაპის, გრიგოლ ქურდიანის უნივერსიტეტის მხარდამჭერი წერილი ნიკო კეცხოველისადმი და ივანე ჯავახიშვილის მადლობის წერილი გრიგოლ ქურდიანისადმი.



წიგნი, რომლის ავტორები ზურაბ გაიპარაშვილი და მეკო გოჩიაშვილი არიან, ორენოვანია (ქართული და ინგლისური), ახლავს კომპაქტდისკი (CD) – წიგნის აუდიოვერსია.

* * *



სოფელ მანავში, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, „სპორტულ-შემეცნებითი საზაფხულო ბანაკი“ გაიხსნა, სადაც წელს 8 ნაკადად მცირეკონტინგენტიანი სკოლების 12-16 წლის 1 000-ზე მეტი მოსწავლე დაისვენებს.

ბანაკს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, ახორციელებს და, შესაბამისად, ერთკვირიანი პროგრამის ერთი დღე სამხედრო თემას ეთმობა. ამ დღეს სამხედრო მოსამსახურეები სკოლის მოსწავლეებს ინფორმაციას მიაწვდიან საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ და პრაქტიკულ მეცადინეობებს ჩაუტარებენ. გარდა ამისა, პროგრამა არაერთ შემეცნებით და სახალისო თემას მოიცავს სხვადასხვა სფეროში.

ზაფხულის განმავლობაში ახალგაზრდული ბანაკები 6 ლოკაციაზე იფუნქციონირებს, სადაც, ჯამში, სახელმწიფო დაფინანსებით, 10 000-მდე მოსწავლე და სტუდენტი დაისვენებს.

* * *

„პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლების კვირეულის“ ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს უნივერსიტეტისა და UG Startup Factory-ს ორგანიზებით გაიმართა სემინარი, სადაც პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს წარმატებულმა სტარტაპერებმა გაუზიარეს ცოდნა და გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინეს საკუთარი ორიგინალური იდეების რეალიზება და ბიზნესის დაწყება.

პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციური მიდგომა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს შეიძინონ ის საბაზისო უნარები, რაც მომავალში საკუთარი იდეის რეალობად ქცევაში, კრეატიულ აზროვნებასა და საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში დაეხმარებათ.



## მე და საზოგადოება




## ჩვენი საქართველო




## ბუნებისმეტყველება




## РУССКИЙ ЯЗЫК




ძვირფასო პედაგოგებო,

სულ მალე გამოქვეყნდება იმ სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომლებმაც წარმატებით გაიარეს წლევანდელი გრიფირების პროცესი და რომლებითაც მომდევნო წლებში 1-6 კლასების მოსწავლეები ისწავლიან.

ჩვენმა გამომცემლობამ კონკურსზე რამდენიმე საგნის სახელმძღვანელო წარადგინა – „ჩვენი საქართველო", „მე და საზოგადოება", „ბუნებისმეტყველება", „ხელოვნება", „მუსიკა", Русский язык.

„კლიოს" ავტორების უმრავლესობას თქვენ კარგად იცნობთ. ისინი გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორები არიან და მათ მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების მიმართ ნდობა და კეთილგანწყობა არაერთხელ დაფიქსირებულა თქვენი მხრიდან.

ჩვენი სურვილია, ამჯერადაც გვენდოთ და ჩვენს მიერ შექმნილი წიგნებით ასწავლოთ.

სანაცვლოდ გამომცემლობა „კლიო" გთავაზობთ:

- წვდომას **დამატებით ელექტრონულ რესურსებთან;**
- **ონლაინ ან სატელეფონო კონსულტაციებს** შესაბამის საგანში ყველა იმ საკითხზე, რაც მასწავლებლებს საგანთან დაკავშირებით გაუჩნდებათ;
- საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებს, რომლებიც ისარგებლებენ ჩვენი სახელმძღვანელოებით, გამომცემლობა **შესაბამისი კლასის მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნებს გადასცემს საგამომცემლო ფასად,** ხოლო წიგნების **ელექტრონული ვერსია ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება;**
- პედაგოგებს დამატებით ვთავაზობთ **უფასო ტრენინგებს და კონსულტაციებს**. შეხვედრებს წარუძღვებიან გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორები. მაგალითად, „ხელოვნებაში" **ტრენინგებს ჩაატარებენ გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორები,** ხელოვნებათმცოდნეები, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სრული პროფესორები ანა კლდიაშვილი და ნინო ღაღანიძე; „მე და საზოგადოებაში" – დაწყებითი განათლების მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის მეთოდისტები და აღნიშნული სერიის ავტორები, ასევე, ყველა სხვა სერიის გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორები;
- გთავაზობთ, ასევე, **უფასო მასტერ-კლასებს** შემდეგ თემებზე:
  - ა) სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვა და წარმართვა
  - ბ) როგორ დავაგროვოთ კრედიტები
  - გ) როგორ მოვამზადოთ სასწავლო რესურსი
  - დ) როგორ მოვამზადოთ პროექტი

ხელოვნებაში მასტერ-კლასები ჩატარდება თბილისში, სამხატვრო აკადემიაში, სოციალურ მეცნიერებათა სერიებში – თბილისის პირველ გიმნაზიაში ან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ინფორმაცია კონსულტაციების ლოკაციისა და დროის შესახებ გამოქვეყნდება ჩვენს FB-ის გვერდზე.

## ხელოვნება




ინფორმაციისთვის დარეკეთ: (032) 234.04.30 ან მოგვწერეთ მეილზე kliopublishing@gmail.com

ან ჩვენს FB-ის გვერდზე https://www.facebook.com/PublishingHouseklio

// ან გვიპოვეთ ჰეშთეგით **#კლიო** //

P.S. ჩვენს მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ დაათვალიეროთ ჩვენს FB-ის გვერდის საშუალებით.

**ჩვენი მისამართია:**

0112, თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 181, ტელ: (995.32) 234.04.30

ვებ-გვერდი: www.klio.ge; ელფოსტა: book@klio.ge // kliopublishing@gmail.com

www.facebook.com/PublishingHouseKlio

## მუსიკა — ბგერები, ხმები, ფერები






## გამომცემლობა საქართველოს მაცნე

წარმოგიდგენთ 2018 წლის სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსში მონაწილე სერიებს. ჩვენს წიგნებს შეგიძლიათ გაეცნოთ გამომცემლობა საქართველოს მაცნეს ვებგვერდზე http://saqmatsne.ge/გაეცანით მათ და გააკეთეთ თქვენი არჩევანი. შერჩევის შემთხვევაში, პედაგოგი გამომცემლობისგან საჩუქრად მიიღებს სახელმძღვანელოს სრულ კომპლექტს. საჭიროების შემთხვევაში კითხვებისა და კონსულტაციებისათვის გამომცემლობა უზრუნველყოფს კავშირს ავტორებთან. ინფორმაციისთვის მოგვწერეთ sakmacne@gmail.com ან ჩვენს Facebook გვერდზე https://www.facebook.com/Saqartvelosmatsne/




ბუნება
I-VI კლასი




ქართული ენა
I-III კლასი




მათემატიკა
I-VI კლასი




ინგლისური
I-VI კლასი




მუსიკა
I-VI კლასი




ფიზიკური
აღზრდა
I-VI კლასი




ხელოვნება
I-VI კლასი




რუსული
V-VI კლასი

## გამომცემლობა პეგასი

წარმოგიდგენთ 2018 წლის სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსში მონაწილე სერიებს. ჩვენს წიგნებს შეგიძლიათ გაეცნოთ გამომცემლობა პეგასის ვებგვერდზე http://pegasus.ge/ გაეცანით მათ და გააკეთეთ თქვენი არჩევანი. შერჩევის შემთხვევაში, პედაგოგი გამომცემლობისგან საჩუქრად მიიღებს სახელმძღვანელოს სრულ კომპლექტს. საჭიროების შემთხვევაში, კითხვებისა და კონსულტაციებისათვის, გამომცემლობა უზრუნველყოფს კავშირს ავტორებთან. ინფორმაციისთვის მოგვწერეთ bookpegasus@gmail.com




მუსიკა
I-VI კლასი




ფიზიკური
აღზრდა
I-VI კლასი